პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. ს. ს. რ. ტფილ. და თბილ. მაზრის კომიტეტის და საქ. კომ. პარტ. ბ., წ.-სამ. და მაბარწყოთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომთან არსებულ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 (II სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 სთ. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14 — 76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნომრის ფასი 10,000 მან. პროვინციაში 12,000 მან.

№ 171 პარასკევი, 28 ივლისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი, 28 ივლისი 1922 წ. № 171

თბილისის ალმასკომი აუწყებს მეორედ არჩეულ საბჭოს უვლა წევრებს, რომ გამოცხადდენ თბილისის ქალაქის ალმასკომში (სეკრეტარიატში ოთახი № 2) საბჭოს წევრობის უვადო მანდატის მისაღებად

მანდატების გაცემა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6-დან 8 საათამდე გარდა ორშაბათ, შაბათ და კვირა დღეებისა. აგრეთვე ვსთხოვთ ყველა რაიკომებს, რომ დაუყონებლივ წარმოადგინონ მოწვეულ საბჭოს წევრების მიერ შევსებული ანკეტები თბილ. ქალაქის აღმასკომის სეკრეტარიატში, ოთახი № 2.

მდივანი ხუნდაძე.

3—3

ს. პ. პ. ყველა პარტორგანიზაციებს

(ცირკულარულათ)

უკვე ყველა მაზრებში დაიწყო სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს ამ წლის 20 ივნისის, № 5, დეკრეტით დაწესებულ ერთიან ნატურალურ გადასახადის ასაკრეფათ წინასწარი მუშაობა.

ყველა პარტორგანიზაციები ვალდებული არიან მიიღონ ამ მუშაობაში ენერგიული და პირდაპირი მონაწილეობა, რათა საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დროზე და უკლებლივ მიიღოს აღნიშნული გადასახადი, ორგანიზაციები ვალდებული არიან შეაგნებინონ მცხოვრებთ, რომ სასურსათო გადასახადის ჩქარი ჩატარება საჭიროა არა მარტო სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით (ეკონომიურ ფინანსიურ გაჭირვებიდან თავის დაღწევად), არამედ თვით გადამხდელ მეურნეების ინტერესებისათვისაც, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მიიღოთ აქტიური მონაწილეობა ადგილობრივათ შემდგარ სამაზრო სასურსათო გადასახადის სამეულებში. ასეთი მონაწილეობა საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ ცენტრის ყველა იმ დირექტივებს და განკარგულებათ, რომელნიც გამოიცემიან მაზრაში სასურსათო გადასახადის მუშაობის შესახებ და გაგიადვილებთ გავლენა იქონიოთ ამ მუშაობაზე, გადასახადის განაწილებიდან (თემებზე, სოფლებზე და თვით გადამხდელებზე) მისი აკრეფის დასრულებამდე. ამასთან ერთად ცეკა გირჩევთ დაავალოთ მაზრის კომიტეტების ქვე-ყოფ ორგანიზაციებს, ხშირად მიაწოდონ კომიტეტებს ცნობები აღნიშნულ მუშაობის მსვლელობის შესახებ, რათა სათანადო ორგანოებმა თავის დროზე მიიღონ საჭირო ზომები პირობების გასაუმჯობესებლად. სასურსათო გადასახადის მუშაობის დროს ამა თუ იმ მომუშაეის გამოცვლა, ან გადაყვან-გადმოყვანა შრომის სახალხო კომისარიატის ან ცეკას დაუკითხავათ დაუშვებელია. რადგან ადგილობრივ სასურსათო ორგანოებს არ ყავთ საკმაო რიცხვი მომუშაეთა და ხშირად თემის აღმასკომშიაც არც მოიპოვებიან მცოდნე მომუშაენი. ამისათვის უაღრესათ საჭიროა მიიღოთ ინტენსიური და სერიოზული მონაწილეობა სასურსათო გადასახადის მთელ წინასწარ მუშაობაში და შეუწყოთ ხელი, რათა ყველგან ჩქარა და უმტკივნეულოდ ჩატარდეს ეს მუშაობა, სწორად და სამართლიანად გაიწეროს სასურსათო გადასახადი, როგორც თემებსა და სოფლებზე, ისე თვით გადამხდელებზე.

რადგან მოსავლის მოწევა ზოგიერთ რაიონებში და კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოში უკვე დაიწყო, ამისათვის, სანამ გლეხი მოსავალს სახლში მიიტანდეს და შეინახავდეს, საჭიროა მზად იქნეს გაწერილ გადასახადის სია, რომ გლეხებმა იცოდენ, რამდენია მათზე შეწერილი გადასახადი და პირდაპირ მიიტანონ იგი დანიშნულ ალაგას.

თანახმად სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა, № 33, ადგილობრივ საბჭოების სასარგებლოდ მოკრეფილ სასურსათო გადასახადიდან გადარიცხულია შემდეგი პროცენტები: მაზრის აღმასკომის სასარგებლოდ 10 პროც და თემის აღმასკომისათვის 5 პროც.

მიიღეთ ეს გარემოება მხედველობაში და დაავალეთ ადგილობრივ ხელისუფლებებს აქტიური და მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სასურსათო გადასახადის აკრეფაში, რადგან რაც უფრო ჩქარა და უკლებლივ იქნება გადასახადი მოკრეფილი, მათ მეტი საშუალება მიეცემა მათ თავისუფლად დაფარონ ადგილობრივი და სხვა ხარჯებიც.

მაზრის კომიტეტები ვალდებული არიან სერიოზული ყურადღება მიაქციონ, რომ სახალხო სასურსათო კომისარიატის სურსათის მიღებ შემნახველი ადგილობრივი ტექნიკური აპარატები წარჩინებულათ იქნეს მოწყობილი.

სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმას, რომ გადამხდელების მიერ შემოტანილი სურსათი იქნეს საღი და კარგი ხარისხის და გადასახადის მიმღებ პუნქტებში ჩაბარების დროს საღი სურსათი არ იქნეს შეცვლილი უვარგისით.

სასურსათო გადასახადის მუშაობის ორგანიზაციას და ცხოვრებაში გატარებას ცეკა აძლევს უდიდეს მნიშვნელობას და მოითხოვს მიიღონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე კონკრეტული ზომები მის სიჩქარით ჩასატარებლად და გადასახადის უკლებლივ ასაკრეფათ, რად განაც არსებულ ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობის გამო მას ეძლევა უპირველესი მნიშვნელობა.

ც კ მდივანი: ხაბაშვილი.

ჰააგის კონფერენციის შედეგები

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 170)

რუსეთის აღორძინება თუ გაძარცვა?

საბჭოთა რუსეთის მმართებს უცხოელ კაპიტალისტების, მათი აზრით, დიდძალი ფული. რამდენი?—თითონ მათ დღემდე ვერ შეძლეს ამის თქმა. ჰააგის კონფერენციის ექსპერტებმა ბარი თქვეს რაიმე ცნობების მოცემაზე. მაგრამ მათ ერთი რამ მტკიცეთ იციან, რომ რუსეთს მმართებს და ის ვალდებულია გადაიხადოს ყველა ეს ვალები. ნომერში, რომელიც მიძღვნილია ევროპის აღდგენის საკითხისადმი („მანჩესტერ-გარდიან“ ის დამატება), ჩვენ ვპოულობთ ამ საკითხის შესახებ ცნობილ ინგლისელ შურისგულებულ ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინსის შემდეგ შენიშვნას: „ეს გამომდინარეობს რევოლიუციის, ომის და სიმშილის ბუნებიდან, რომ ისინი ხპობენ ადამიანთა დახაბულებულ მოთხოვნებს და კერძო სიმდიდრეს. ხახაცილო იქნებოდა თავის უმაყოფილების გამოთქმა მეზის ან ვულკანის მუშაობის გამო. ომმა მოსპო მილიარდი ღირებულება. ათი ათასობით ადამიანთა სიცოცხლე. მათ არავინ დააბრუნებს. ეს კი არა როცა საბრძოლო ინვალიდი მოითხოვს კაპიტალისტურ სახელმწიფოსაგან, რათა უკანასკნელმა,—არ შეუძლია რა აუნაზღაუროს მას დაკარგული ხელი, ან ფეხი,—უნაზღაუროს მას ჯანმრთელობის და მუშაობის უნარის ეს დაკარგვა მისი ცხოვრების უზრუნველყოფით მაინც, — კაპიტალისტური სახელმწიფოები უპასუხებენ მას მოწყალებით, რომელიც საკმარისი არ არი საკუთარი კუბოს გამოსაშენადაც კი. მაგრამ რევოლიუციამ, რომელიც გამოწვეულია გაბატონებულ კლასების პოლიტიკით, უეჭველად უნდა აუნაზღაუროს ამ კლასებს ყველა ზარალი!

რევოლიუცია არ არის იხეთი მოვლენა, რომელიც შეიძლება იყოს ან არ იყოს ის სტიქიური მოვლენაა. იგი უამრავი მასების აჯანყებაა, რომელსაც სათავეში შეუძლია ჩაუდგეს რევოლიუციონური პარტია, მაგრამ **რომელსაც იგი არა ქმნის.** გავხადოთ რევოლიუციონური ხელისუფლება პასუხისმგებლად რევოლიუციით მიყენებულ ზარალისათვის—ეს სულ ერთია, რომ მოვთხოვოთ ბარომეტრს ანაზღაურება ქარიხლით მყენებულ ზარალის. **მაგრამ მოკავშირეთა ინტერვენცია იყო მოკავშირე მთავრობების მესვეურთა მცირე ჯგუფის ნებაყოფლობითი აქტი.** მას ბიაყენა რუსეთის ხალხის მასებს მეტი ნივთიერი ზარალი, ვინემ ყველა უცხოელ კაპიტალისტების ზარალი ერთად აღებული. მაგრამ ამ ზარალის ანაზღაურებაზე უარი განაცხადეს მოკავშირე კაპიტალისტების ბატონ წარმომადგენლებმა გენუაშიც და ჰააგაშიც.

მაგრამ გადავიდეთ სოციოლოგიდან პოლიტიკაზე. ხომ ყველას ესმის, რომ **ძველი ვალების სავსებით გადახდის მოთხოვნა რუსეთისაგან, რომლის მატერიალური კეთილდღეობა მისცა იმპერიალისტურმა და სამოქალაქო ომმა, ესაა შეუძლებელის მოთხოვნა.** რუსეთის არც ერთ მთავრობას, თუნდაც იგი ყოს თვლზე უეთერესი, არ შეეძლო სასწაულის მოხდენა და რუსეთიდან ყველა ძველი ვალების ამოქაჩვა. **ლაპარაკი შეიძლებოდა ყოფილიყო ხხოლოდ იმაზე, რომ, შეამცირებდნენ რა ვალებს რაოდენმე ბამდე, რომლის ატანა შეძლებოდა რუსეთს მომავალში, მოხობაში ჩაუვარდნელად, ამ ვალების პროცენტების გადახდევინება გადადებული იქნებოდა რუსეთის მეურნეობის აღდგენის მომენტამდე.** ასეთ კომპრომისზე მიდიოდა საბჭოთა მთავრობა. მაგრამ იგი ღებულობდა მხოლოდ ერთ პასუხს: „გადაიხადე ვალები!“

არც ერთი სიტყვა კრედიტებზე რუსეთის მეურნეობის აღსადგენად, ფრიმლისოდ ვალების გადახდის ყველა მოთხოვნანი წარმოადგინენ სრულ სიასულელეს! ეგრედ წოდებულმა ექსპერტებმა აცოდნენ მხოლოდ ერთი რამ—„გადაიხადე. და ამასთან დ-ჩარებათ“. მათი პოლიტიკა ესაა პოლიტიკა გაცოფებულ ბურჟუის, რომელიც ბაღ არაა მოითხოვოს ვალების გადახდა მკვდარ მევალისაგანაც კი.

სწორედ ასეთი, როგორც კაპიტალისტურ ქონების დაბრუნების საკითხში, ვალების საკითხშიც, ეკონომიური აღორძინების, მშვიდობიანობის და რუსეთის ინტერესები დაუმორჩილეს ინტერესებს კაპიტალისტების ბცირე შაიკისა, რომელთათვის სულ ერთია მსოფლიოს აღორძინება, და რომელთათვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ერთ რამეს—მათი ჯიბის აღდგენას. რომ ეს შეუძლებელია მოვალის უბედურებაზე, ეს მათ არ შეეხება.

რას უნდა მოველოდეთ შემდეგ.

ჰააგის კონფერენციამ თავი მიიბეზალამაზ სიტყვებს, რომლებითაც გამოდიოდნენ ორატორები გენუაში..

დავიწყებას მიეცა ყველა ფრაზები მშვიდობიანობაზე, კაცობრიობაზე, ევროპის აღდგენაზე. კაპიტალისტურმა მსოფლიომ ამ კონფერენციაზე დაანახვა მშრომელ მასებს **გაბმაძღრობის გრძნობით დამხინჯებული მატ ცებლის სახე** საბჭოთა ხელისუფლების ამოცანა, მთელი მსოფლიოს მუშათა პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ მაგალითზე შეაგნებინოს საერთაშორისო პროლეტარიატს, თუ **როგორ სწადიათ კაპიტალისტებს მსოფლიო მეურნეობის აღორძინება** მსოფლიო მეურნეობის აღდგენა მათთვის არის ცნება, რომელიც უდრის მშრომელ მასების გაკარკვას, მაგრამ თუ მტაცებელი, რომელიც მძლავრი ხელებით ეცემა ყველზე თავის მახვერპლს, შეადგენს სიძულვილის საგანს,—**უძლური მტაცებელი, რომელიც თავის აკანკალებულ ხელს იწვერს არა უმწეო ადამიანისაკენ, არამედ ადამიანისაკენ, რომელიც შეიარაღებულია და მზად არის იბრძოლოს თავის არსებობისათვის, ეს სანახაობა არამედ თუ სამარცხვინოა, არამედ სახაცილოც.**

კაპიტალისტურ სახელმწიფოების წარმომადგენლები უცხადებდნენ ძლევამოსილ საბჭოთა რუსეთს, რომ მათ არაფერი არ შეუძლიათ დაეხმარონ რუსეთი მეურნეობის აღდგენის საქმეში. მაგრამ რუსეთის მეურნეობის აღორძინების დახმარება იყო ერთად ერთი მიზეზი, რომლის გამო ჩვენ მზად ვიყავით წავსულყავით მსოფლიო კაპიტალის მიმართ დათმობაზე, უარავ მსხვერპლზე.

თუ კაპიტალისტურ მსოფლიოს არ ძალუძს ჩვენ დაგვეხმაროს, მაშინ რისთვის უნდა მივცეთ მუშური და გლეხური რუსეთის ზურგზე ვალდებულებათა ბიბლიონი. უკეთესია ჩვენ ეს ზურგი მოვიხაროთ მუშაობაში ჩვენი ეკონომიების დაჩქარებაზე საკუთარი ძალებით!

კაპიტალისტური მსოფლიო გამოვიდა ჰააგაში **ერთიანი ფრონტით** საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გაერთიანებული ფრონტი არის გაერთიანებული ფრონტი მხოლოდ კაპიტალისტურ მესვეურების, მარტო კაპიტალისტურ მთავრობების. ყველა ქვეყნების კაპიტალისტები იყენებენ თავიანთ მთავრობებს იმისათვის, რათა მაიძულონ საბჭოთა პირობებს ისოფლიოს ექსპლოატაციისათვის ბურჟუაზიის მეტი მაგრამ მათ ცდაან სხვა გზებიც. **თუ არ ეიძლება შეთანხმების მიღწევა საერთო პირობებზე მათი ინტერესის შეფურთხონ ამას და კერძო შეთანხმებებზე წავიდნენ.** ეს ცოტაა. მსოფლიო მტაცებლების საერთო ფრონტი ეწინება ხხოლოდ პოლიტიკურ მომენტში. ჩვენ არ გვაქვს ჯერ დაწვრილებითი ცნობები იმ **ფარულ თამაშის**, რომელმაც გამოიწვია ინგლისის პოზიციის შეცვლა, შესაძლებელია, ესაა შედეგი იმ დათმობათა, რომლებზედაც საფრანგეთი წავიდა ინგლისის მიმართ ოსმალეთზე გალაშქრების საკითხში ან გერმან. რეპარაციის საკითხში, **ვენვითარების საერთო ხაზი მხოლოდ მტაცებელთა შორის წინააღმდეგობათა გარღრმავების გზით, და დაბუერის რა კარები ჰაავაში, დღეს ხვალ ისინი თვითონ მოვლენ ჩვენთან უკანა კიბიდან.** და სანამ ეს არ მოხდება, ჩვენი საქმეა ყოველი ძალა ვიღონოთ **მოხავლის** საკუთარი ძალებით რუსეთის მეურნეობის აღდგენის ამ ძირითადი ფაქტორის—**რკალიზაციისთვის**, რუსეთის საკითხის გადაჭრის გადადება ეამეწვევებს მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკურ და სამეურნეო კრიზისს. ჩვენ უკვე ღღის ვკითხულობთ, „მანჩესტერ გარდიან“-ის—ინგლისის სავაჭრო მსოფლიოს გაზეთის დეპეშებს, რომლებშიც მოითხოვენ ინგლისის მთავრობისაგან **ხელშეკრულ შეთანხმებას რუსეთთან.** და სავსებით მართალია საფრანგეთის ყოფილი მინისტრი პრეზიდენტი **პოლ პენლევე**, რომელიც ამ გაზეთის დამატებაში წერს: **„გათავდება კონფერენცია ჰაგაში გამარჯვებით თუ დამარცხებით, ის წარმოადგენს მხოლოდ ეპიზოდს რუსეთის საკითხის ევოლუციაში. თუ ის გათავდება დამარცხებით, მხოლოდ აუცილებელი იქნება უახლოეს დროში საქმის ხელახლა დაწყება სხვა ფორმით.**

ჩვენს ამოცანას შეადგენს ვიმუშაოთ ეხლა ისე, რომ რიცა ხელ-ახლა დაწყება მოლაპარაკება მსოფლიო მტაცებლებთან, ჩვენ ვიდგეთ ამ მოლაპარაკების დროს **უფრო მტკიცეთ ფეხებზე, ვინემ ეხლა ხოლო ჩვენ ვიდგომებით უფრო მაგრად,** არა მარტო მოსავლის წყალ-ბით, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთის და მსოფლიო პროლეტარიატის მუშების და გლეხების ფართე მასსებმა დაინახეს, **თუ რა ცილისწამებას შეიცავს მთელი მსოფლიოს თეთრგვარდიელების და სოციალ გამყიდველების პრესის მტკიცება, რომ საბჭოთა მთავრობა ოლონდ განაგრძოს თავის არსებობა, მზად იყვეს მთელი რუსეთი დაუმონოს ხაერთაშორისო კაპიტალს და ატაროს თავისი არსებობა, როგორც კაპიტალისტურ ექსპლოატაციის დამცველმა რუეთში.** საბჭოთა მთავრობამ საქმით დაამტკიცა, რომ, ის ხედავს **თავის ხიცოცხლის აზრს იმაში,** რომ არ გაუშვას რა ხელდევლობიდან ძალთა საერთაშორისო განწყობილება, წავიდეს რა ყველა აუცილებელ დათმობებზე,—**დაიცვას რაც არ უნდა დაჯდეს რუსეთის მუშურ და გლეხურ მასხების ინტერესები.** საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა გენუასა და ჰაავაში გაძლიერებს მის კავშირს რუსეთის და მთელ მსოფლიოს მშრომელ მასსასთან, რომელიც მასში დაინახავს **თავის ინტერესების დამცველს, მსოფლიო რევოლიუციის მოწინავართა დამცველს.**

კარლ რადეკი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

(„კავკასტა“)

ფითელ რესპუბლიკებში რუსეთი

ხამრეწველო ბიუროების ყრილობა.

მოსკოვი. 26 ივლისი (რადიო) ხამრეწველო ბიუროების ყრილობის 24 ივლისის საღამოს სხდომაზე, მოსმენილ იქნა მოხსენებანი ადგილებიდან. მოხსენებლები აღნიშნავენ, რომ მრეწველობა ძალიან მძიმე პირობებშია ჩავარდნილი, რადგანაც არ არის სათანადო სატრიალო თანხა, გადასახადები ძალიან დიდია და სატარიფო განწევრივ მაღალი. ურალზე ინდუსტრიის მუშათა რიცხვი შემცირებულია 92,000 კაცამდე, მაგრამ წარმოების საერთო ნაყოფიერება არ შემცირებულა, არამედ ზოგიერთ წარმოებებში კიდეც გაიზარდა 200 პროც. უკრაინაში მოწყობილია 21 ტრესტი, რომელნიც ხავეებით არ არიან დატვირთულნი. რადგანაც ნაკლებობაა სატრიალო თანხების ძეულებული გახდებით დავბრუროთ ზოგიერთი წარმოებანი და ამით კი უმუშევრად დარჩებიან რამოდენიმე ათი ათასი მალალ-კვალიფიციური მუშა.

25 ივლისის დღის ხდომაზე მოსმენილ იქნა ახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავჯდომარის მოადგილის მოხსენება საორგანიზაციო საკითხების შესახებ.

საერთო სამოქალაქო გადახადი.

მოსკოვი. 27 ივლისი (რადიო), 22 ივლისისათვის რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე შემოვიდა საერთო სამოქალაქო გადასახადიდან 1,097,000,000 მან. 1922 წ. ფულის ნიშანის მიხედვით.

უპროცენტო ვალდებულებანი.

მოსკოვი. 26 ივლისი (რადიო). სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვიტა შეიჩეროს რუსეთის უპროცენტო ვალდებულებათა გამოშვება 1922 წ. ნომუშისა. ხენებული ვალდებულებათა მიღებას სახელმწიფო ბანკი აწარმოებს 1 ოქტომბრამდე.

ყირგიზების რესპუბლიკაში.

მოსკოვი. 27 ივლისი (რადიო). რადგანაც ყირგიზების რესპუბლიკა განსაკუთრებით ძნიმე პირობებში იმყოფება, ამ დღეებში ირჩეოდა საკითხი ხხენებულ რესპუბლიკისათვის სასოფლო სამეურნეო იარაღების შეღავათიან ფასებში მიწოდებისა და მისთვის ელხის მიცემის შესახებ. თათბირმა, სახელმწიფო ბანკის წარმომდგენლის თანადასწრებით გამოძმუშავა მთელი რიგი ზომებისა, რომელიც წარედგენა დასამტკიცებლად შრომისა და თავდაცვის საბჭოს. რადგანაც უკვე დაიწყო მოსავლის მოწევა თათბირმა დაადგინა სოხოვოს შრომისა დათავდაცვის საბჭოს მოახდინოს სათანადო განკარგულება, რათა სასოფლო სამეურნეო იარაღების მთავარმა კომიტეტმა დაუყონებლივ გაგზავნოს პრივოლკაში სასოფლო სამეურნეო იარაღები, მანამდის სანამ ფორაღურად იქნებიდეს ჩამოყალიბებული საკითხ სუსის მდგომარეობის.

გადასახადების საქმე.

მოსკოვი. 27 ივლისი (რადიო). მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ დღეებში შეუდგება გამორკვევას გადასახადის საქმისას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

საჰონლის სატრანსპორტო საზოგადოება.

მოსკოვი. 27 ივლისი (რადიო). სატრანსპორტო-სავაჭრო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა გერმანული ფირმის წინადადება სატრანსპორტო საზოგადოებასთან ერთად შერეული აქციონერული საზოგადოების დაარსების შესახებ საქონლების გადასაზიდ-გადმოსაზიდავათ. პრეზიდიუმმა ასეთი საზოგადოების დაარსება პრინციპიალურად შესაძლებლად სცნო, მხოლოდ იმ პირობით თუ მას სამონოპოლიო ხასიათი არ ექნება. გერმანიის ფირმას ამ წინადადების ხხარს უჭერს გერმანული ორიენტ ბანკი. პრეზიდიუმის წინადადებით სახელმწიფოს უნდა ეკუთვნოდეს ამ საზოგადოების აქციების 50 ცუოც. საზოგადოების თავმჯდომარეთ უნდა იყოს გამგეობის წევრი დანიშნული მთავრობის მიერ.

პურის შესახებ დადებულ პირობათა გაუქმება.

მოსკოვი. 27 ივლისი (რადიო). უკრაინის ზოგიერთ ადგილებიდან ატყობინებიან, რომ უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის დეკრეტში, პურის შესახებ დადებულ მძიმე პირობათა გაუქმების შესახებ, გამოიწვია დიდი აღფრთოვანება გლეხობაში. სოფლის ყრილობებზე გლეხობას გამოაქვს რეზოლიუციები, რომელშიც იგი მადლობას უცხადებენ აღმასკომს, უღარიბესი გლეხობის დამცველ ორგანოს.

ჩრდილოეთ კავკასიაში

საჰონელი ვაგონები თერგის ოლქში.

ქ. მოსკოვიდან 120 ვერსის მოშორებით კარაბულაგანის მინდვრებზე გაჩენილა მრავალრიცხოვანი გველები სიგრძით ერთი საჟენიდან 1 ნახევრამდე.

მუშათა დამზღვევი კასა

ჩვენ არა ერთხელ მიგვქცევია დაწვრილებულება წარმოებათა მეთაურების ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ მუშა მოსამახურეთა უზრუნველყოფათ შრომის უნარის დაკარგვის დროს, არსებული გადასახადი, 10 პროც. უნდა უკლებლივ და დროზე იქნას შეტანილი დამზღვევ კასებში რეგულარულათ, მაგრამ ამას არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ 10 პროც.—ეს სულ მცირეა იმ აუ რებელ და აუცილებელ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, რაც საჭიროა შრომის უნარიანობის დაკარგვის დროს: ავადმყოფობა, დასახიჩრება, დაბერდომილობა, ხოხუცებულობა, უმუშევრების დროს და ქვეყნ ობოლთა უზრუნველყოფათ. აქნამდის საკმაო დრო გაგვიდა, რომ ვისიც ჯერ არს, მიეცა ყურადღება ამისათვის, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვიუბნება. მიუ 10 პროც მაგარ, ნამდვილათ კასაში შემოდის დღევანდლამდე მხოლოთ 2 პროც. და 8 პროც.—კი რჩება მუშარმოებლებზე.

აქედან აშკარაა, დამზღვევ კასა ვერ შეძლებს თავის დანიშნულების შესრულებას და სრულიათ სამართლიანია მუშა მოსამახურეთა ჩივილი და უკმაყოფილება, რომ კასა მათ სრულ და საჭირო დახმარებას ვერ უწევს. უფრო უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან კასები პროვინციაში; იქ ხომ თითქმის არავინ არაფერს არ იხდის და ამ ნიადაგზე დიდ უკმაყოფილებას აქვს ადგილი.

ამ საქმის ასეთი მოპყრობა დაუშვებელია და შეუწყნარებელი.

როდესაც წელ დებოდა 10 პროც. გადასახადი—აქ იყო მიღებული სახეში ის გარემოება, რომ დღეს-დღეობით წარმოება დაწვ ებულებანი ვერ დამდგარან მტკიცე ნიადაგზე და უფრო მეტი გადასახადი გაართულებდა წარმოების საქმეს. ამ საგნისთვის რუსეთში 28 პროც. გადასახადი არსებობს. აქაურმა მეპატრონეებმა უნდა იზრუნოს დადებული მცირედი გადასახადის გადასახადებლად.

ჩვენ უნდა ვვალიაროთ, რომ მანქანებს უფრო მეტი ყურადღებას ვაქცევთ, ვინემ ცოცხალ ადამიანებს, მუშებს. თუ არ უზრუნველვყავით მუშა-მოსამსახურენი სოციალურ გაჭირვებებს დროს, თუ არ იქნა მუშა დაწყნარებული იმაში, რომ ის გაჭირვების დროს მას დახმარება გაეწევა როგორც სიცოცხლეში ისე სიკვდილს შემდეგ მის ოჯახს, რომ მისი წვრილწვილი არ იქნება ღვთის ანაბართ მატერიალური შეუძლებელია მოვთხოვოთ მუშას შრომას ნაყოფიერების გაძლიერება.

მუშა მოსამსახურეთა უზრუნველყოფა ამ მხრივ კი ნამდვილი თავდები იქნება იმისა, რომ შრომის ნაყოფიერება ავა ღღეს მისაღწევ სიმაღლეზე და წარმოება ჩადგება თავის ნამდვილ კალაპოტში.

აქ საჭიროა უპირველესად შეეხნება და გათვალ სწინება ყველა აქ შედეგებისა, საჭიროა წარმოება დაწესებულებათა სათავეში მუდმივ პირებმა შეიგნონ ამ გადასახადის აუცილებლობა, რომ ეს გადასახადი უნდა მოხმარდეს თვით იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელნიც მათთან მუშაობენ და მათი უზრუნველყოფით მათსავე წარმოებას წასწევენ წინ.

თუ ყველაფერი ეს არ იქნა გათვალისწინებული, თუ გადასახადის გადახდა კიდევ ასე გაძნელდა, საჭირო დარჩება უფრო მკაცრი ზომების მიღება ამ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც უდგანან სათავეში დაწესებულებათა-წარმოებებს და კანონს არ ასრულებენ.

ამავე დროს საჭიროა თვით დაზღვეულებმა, მუშებმა მიაქციონ ყურადღება, რომ მათ დამჭირავებელს დროზე და უკლებლივ შეჰქონდეთ დამზღვევ კასაში კანონით დაწესებული გადასახადი. მუშათა კომიტეტები პირდაპირ ვალდებულნი არიან თვალყური ადევნონ, რომ ჯამაგირების მილებისთანავე დასაზღვევი გადასახადიც იქნას მაშინათვე კასაში წარდგენილ.

ეს საკითხი უნდა გაშუქებულ იქნეს დაწყებული პროფკავშირებიდან უკანასკნელ უბრალო რუშამდე და მათ უნდა აიძულონ მწარმოებლები გადაიხადონ პროცენტები და არ უცადონ მხოლოდ დამზღვევი კასის აპპარატს, რომელიც თავის ხხრივ ყოველივე ზომებს ღებულობს კანონის ხისრულეში მოსაყვანათ.

მუშათა დამზღვევი საქმე კრიზისს განიცდის და მხოლოდ ასეთი საშუალებებით შეიძლება საქმის გამოსწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოლოს თითზე კბენანი გვიანია იქნება.

ხანდრო იაშვილი.

გენერალ სლაშჩევის ფერილი

„ძალიან გაზვიადებულია“.

შორეულ აღმოსავლეთის, და დასავლეთ ევროპის თეთრ პრესაში ერთ ნაირად იბეჭდება ცნ ბები გენერალ სლაშჩევის დაბრუნების შესახებ.

ეს ხდება აშკარა განზრახვით: ჩაშალონ ყოველ თეთრ არმიათა სამსახურში მყოფ პირთა სამშობლოში დაბრუნება.

ამ განზრახ გავრცელებულ ხმების გასაბათილებლად ვთავსებთ ქვემოთ თვ თ „დაბრუნებულის“ წერილს, რომელსაც აქვს უფლება, მარკ ტვენისებურად სთქვას: „ხმები ჩემის სიკვდილის შესახებ მეტად გაზვიადებულია“

სლაშჩევის წერილი.

მაამებს ეხლა ხან ყალბი ხმები, რომელიც იბეჭდება უცხოეთის გაზეთებში იმის შესახებ, ვითომ მე დაბრუნებული ვარ საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ.

მე ვფიქრობ, რომ სალად მოაზროვნე ხალხი ამას არ დაიჯერებს, ხოლო ის პირები, რომელნიც მე მაცნობენ, მშვინვიერად მიხვდებიან, რომ მე დაბრუნებული კი არა, საქმეში ვარ ჩაბმული.

ყველას გა ვაფრთხილებ: მსროლელთა უმაღლეს სკოლაში მე ვიბრძვი საკომანდო შემადგენლობას საბჭოთა რუსეთის დასაცავად და იმ შემთხვევაში თუ შეტევებით საბჭოთა რუსეთზე თავს დაესხას, ვფიქრობ იარაღით ხელში დავამტკიცო ასეთი ცდის უნაყოფობა.

მოსკოვის „იზვესტია“.

18 ივლისი 1922 წ.

ამ ადგილებზე გავლილ ამხ. ლოგინოვს აღმოუჩენია ამ გველების კბენისაგან დაღუპული 30 ცხენის და 9 ყაჩაღის გვამები. ცხენებისა და ყაჩაღებისაგან გველებს ისე გამოუწოვიათ სისხლი უკანასკნელ წვეთამდე, რომ გვამები არ დახრწნილან და მუმიებს დამსგავსებიან.

მინდორში მგზავრობის დროს ამხ. ლოგვინოვს თავის რაზმით უხდებოდა ბრძოლის წარმოება გააფთრებულ გველებთან; მიუხედავათ იმისა, რომ მგზავრები სისწრაფით მიაშენებდენ ცხენებს, გველები მაინც ახერხებდენ მათზე თავდასხმას, რის შემდეგაც დაკბენილი იქნა 13 ცხენი. დაკბენილი ცხენები მცირე მანძილის გავლის შემდეგ უსულოდ დაეცენ. დაკბენილი იქნა აგრეთვე 4 წითელარმიელი, რომელნიც აგრეთვე დაიღუპენ. გარდა ამისა, ოთხი დაკბენილი არმიელი მიიყვანეს მოსკოვში და იმყოფებიან უნუგეშო მდგომარეობაში.

„ბრძოლა“.

კაპიტალიზმის სამეფოებში

რეიტერის სააგენტოს ცნობის უარყოფა.

რომი. ინგლისის დეპეშათა სააგენტოს ცნობის გამო, თითქოს ბათომში ადგილი ქონდეს იტალიის გემების „ადრიასა“ და „ადროს“ გაცარცვას, „ლლოიდ-ტრიესტინოს“ კამპანიის კონსტანტინოპოლელ აგენტმა მოათავსა ლონდონისა და იტალიის გაზეთებში უარყოფა ამ ცნობის შესახებ. აგენტი სწერს შემდეგს: ზოგიერთი, ბათომში კარგათ ცნობილი კომერსანტებსა და საზღვაო აგენტებს ქონდათ ჩვეულება გაეტანათ კონტრაბანდათ გემებით, რომელნიც გადიოდენ ბათომიდან კონსტანტინოპოლში, ოქრო, ბრილიანტი და სხვა ძვირფასი ნივთები. ამ ნივთების გატანა საბჭოთა კანონებით აკრძალულია და დამნაშავეებს ჩამოერთმევათ ხოლმე ქონება. „ლლოიდ-ტრესტინოს“ აგენტი დაეწერო საგანგებო კომისიის აგენტების მიერ ამ გემების გაჩხრეკას. აგენტებმა გაჩხრიკეს, როგორც თვით გემები, ისე მგზავრებიც. აღმოაჩინეს მრავალი კონტრაბანდა, რომელიც ჩამოართვეს მოგზაურებს. გაჩხრეკის შემდეგ გემი გაემგზავრა. არავითარი სხვა საქონელი, გარდა ზემოაღნიშნულისა, არ ჩამოურთმევიათ არც მგზავრებისათვის და არც კომანდისათვის.

იტალია

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). უმთავრეს დაბრკოლებას მონობისათვის კაბინეტის შედგენის საქმეში წარმოადგენს სახალხო პარტიის ოპოზიცია, რომელნიც წინააღმდეგნი არიან შემარჯვენე პარტიებისათვის პორტფელის მიცემისა.

ბონომი უარს ამბობს კაბინეტის შედგენაზე.

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). რომიდან მიღებული ცნობების თანახმად, სოციალისტების ჯგუფის პოზიციის გამო, ბონომიმ უარი განაცხადა კაბინეტის შედგენაზე.

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). ფიქრობენ, რომ მეფე კაბინეტის შედგენას მიანდობს დენოვას.

ვატიკანის მისია.

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). რუსეთის დამხმარე ვატიკანის მისია 26 ივლისს გემით ბარიდან კონსტანტინოპოლში მიემგზავრება.

პაპის მოწოდება.

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). რომიდან იტყობინებიან, რომ პაპამ, პაპა ბენედიქტე მე-15-სავით მიმართა მოწოდებით მსოფლიოს ყველა ერებს რუსეთისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

პუანკარეს გამგზავრება ლონდონში.

ნაუენი. 26 ივლისი. (რადიო) პუანკარემ განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ძალაპარაკება ლონდონში გაგრძელდება არა უმეტეს 8 ღისა. გაზ. „პტი პარიზიენის“ აზრით, საჭიროა, რომ ლონდონის მოლაპარაკებას დადებითი შედეგები მოყვეს, ვინაიდან ბანკირების მიერ წარმოდგენილი ფორმით საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტის გარდა, აუცილებლად საჭიროა საბედრო და ეკონომიური საკითხების სანქციების მოწესრიგება.

მანდატები დაადასტურეს.

ნაუენი. 26 ივლისი (რადიო). ერთა ლიგის საბჭომ საბოლოოდ დაადასტურა ინგლისის მანდატი პალესტინაზე და საფრანგეთის სირიაზე.

გადამწყვეტი ნაბიჯები.

კონსტანტინოპოლი. სტამბოლის გაზეთების ცნობით, საბერძნეთის პრესა ერთხმად ურჩევს მთავრობას გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯები. „კოცმირინი“ სწერს: სახელმწიფოს არ შეუძლია მუდამ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდეს. მთავრობის გადაწყვეტილებანი უნდა ყალიბდებოდეს იმ დებულებებში, რომელთაც შეუძლიათ უფრო—გაადიდონ არსებული გარანტიები ჩვენი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა

(ამხ. საბაშვილის მოხსენების თეზისები პირველ პარტიულ კონფერენციაზე, დამტკიცებული ცენტრალურ კომიტეტის მიერ)

1. პარტიის ნაყოფიერი მუშაობა დამოკიდებულია მისი სამუშაო აპარატის სწორ და გეგმიან აწყობაზე, მისი კონსტრუქცია უნდა შეეფერებოდეს საბჭოების კონსტრუქციას, რათა პარტიულმა კომიტეტებმა გაუწიონ სათანადო ხელმძღვანელობა საბჭოთა დაწესებულებებს, ამისათვის კი საჭიროა პარტიული აპპარატის ნაწილობრივათ გარდაქმნა, რამაც ჩვენ უნდა მოგვიტანოს კიდევ ერთი დადებითი შედეგი დაგვაახლოვოს პარტიულ მასსასთან.

2. წარსულში გამოცდილებამ საგებით დაგვარწმუნა, რომ სოფლის რაიონული კომიტეტები ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებებს, სიცოცხლეს მოკლებული იყვენ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაუქმდა შესაფერი ადმინისტრატიული ერთეული. ზოგიერთ შემთხვევაში რაიონული კომიტეტები პარტიულ მუშაობის სიჩქარესაც კი აფერხებდენ, რადგანაც ისინი იყვენენ უბრალო გადამცემი პუნქტი და მოწყვეტილი მაზრის კომიტეტისა და ქვემდებარე პარტიულ ორგანოთა შორის. რა მოსაზრებითაც რაიონული კომიტეტების არსებობა ზედმეტ ბარგათ უნდა ჩაითვალოს.

შენიშვნა: გამონაკლისს შეადგენენ სამრეწველო და ნახევრათ სამრეწველო რაიონები, როგორიც არიან: თბილისი, ხაშური, ბორჯომი, ჭიათურა, ტყიბული, სამტრედია და ხონი. სადაც რაიონული კომიტეტები რჩებიან და ემორჩილებიან სამაზრო კომიტეტს.

თბილისის რაიონული კომიტეტები ემორჩილებიან თბილისის კომიტეტს.

3. უფრო მიზანშეწონილია, ორგანიზაციულათ სწორია და პარტიულ მუშაობის ნაყოფიერებისათვის აუცილებელია, რომ რაიონული კომიტეტების ნაცვლად დაარსდეს თემის აღმასკომის პარალელურათ თემის პარტიული კომიტეტი.

4. კომუნისტური ეწყობა წარმოების, დაწესებულების და ტერიტორიის პრინციპების მიხედვით. ქალაქებში წარმოების და დაწესებულების, სოფლებში კი ტერიტორიის მიხედვით). თუ კომუნისტურედში არა ნაკლებ 15 კაცისაა, ირჩევენ ბიუროს 3 კაცისაგან შემდგარს 3 თვის ვადით. ბიურო გამოჰყოფს პასუხისმგებელ მდივანს. თუ კომუნისტურედში 15 კაცზე ნაკლებია ირჩევენ მარტო პასუხისმგებელ მდივანს. კომუნისტურედის სხდომები უნდა იმართებოდეს არა ნაკლებ კვირაში ერთხელ სამაზრო კომიტეტის მიერ დანიშნულ მთლიან პარტიულ დღეს.

5. თემის პარტიულ კომიტეტს 3 წევრი და 2 კანდიდატისაგან შემდგარს ირჩევენ თემის ყველა პარტიულ წევრების საერთო კრებაზე 6 თვის ვადით. არჩევნები უნდა ხდებოდეს სამაზკომის ინსტრუქტორის უშუალო ხელმძღვანელობით. კომიტეტი თავის მხრივ ირჩევს პასუხისმგებელ მდივანს რომელსაც უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 1 წლის პარტიული სტაჟი, ოემის კომიტეტი უნდა იკრიბებოდეს უეჭველათ ერთხელ მაინც კვირაში.

უეჭველათ თვეში ერთხელ მაინც თემის კომიტეტი იწვევს კომუნისტურედების პასუხისმგებელ მდივნების თათბირს და თემის პარტიულ წევრთა საერთო კრებას, რომელზედაც აუცილებლად ესწრება სამაზკომის ინსტრუქტორი. თემის კომიტეტი უშუალოთ ემორჩილება სამაზრო კომიტეტს.

6. ექვს თვეში ერთხელ იწვევენ რაიონულ პარტკონფერენციას, (იხ. მუხ. მეორის შენიშვნა) რომელზედაც ხდება რაიონულ კომიტეტის არჩევნები. (შვიდი წევრი და სამი კანდიდატი). კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს 3 კაცისაგან, რომლებიც ყოფენ პასუხისმგებელ მდივანს, უკანასკნელს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 2 წლის პარტიული სტაჟი.

თვეში ორჯელ რაიკომი იწვევს კომუნისტურედების პასუხისმგებელ მდივნების თათბირს. არა ნაკლებ თვეში ერთხელ უნდა ხდებოდეს რაიონის საერთო კრება ყველა პარტიულ წევრებისა.

7. რაიონულ კომიტეტის გაუქმებასთან ერთად საჭიროა სამაზკომმა გაუწიოს მუდმივი და გეგმიანი ხელმძღვანელობა ახლად აღმოცენებულ თემების კომიტეტებს, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამაზრო ინსტრუქტორების ინსტიტუტის გაძლიერებას. საჭიროა სამაზრო ინსტრუქტორათ ინიშნებოდეს საქმის მცოდნე, გამოცდილი და სათანადო პარტიული სტაჟის მქონე ამხანაგები. (არა ნაკლებ 2 წლის პარტიული სტაჟით) სამაზრო ინსტრუქტორების რაოდენობა უნდა განისაზღვრებოდეს ტერიტორიის და კომუნისტურედთა რიცხვის მიხედვით, ერთი ინსტრუქტორი 10 კომუნისტურედზედ.

სამაზრო ინსტრუქტორის მოვალეობას შეადგენს:

ა) ისინი უნდა იყვენენ მიმაგრებული და მუდმივათ იმყოფებოდენ მათზე მიწერილ მაზრის ნაწილში.

ბ) ინსტრუქტორი უნდა ატარებდეს ცხოვრებაში ყველა განკარგულებებს და დირექტივებს, მიცემულს სამაზკომის მიერ.

გ) თემების კომიტეტების მიერ მოწვეულ კომუნისტურედთა პასუხისმგებელ მდივნების თათბირზე ინსტრუქტორები ეცნობიან მათ მუშაობას, აძლევენ შესაფერ ახსნა-განმარტებას და დირექტივებს (საჭიროა ასეთი თათბირის დღე ინიშნებოდეს სამაზრო ინსტრუქტორთან შეთანხმებით). ინსტრუქტორი უნდა ესწრებოდეს თემის პარტიულ წევრების საერთო კრებებს.

დ) ინსტრუქტორები ვალდებული არიან ადგილობრივათ ეცნობოდენ სოფლის კომუნისტურედის მუშაობას.

ე) არა ნაკლებ თვეში ერთხელ ინსტრუქტორებმა უნდა წარმოადგინონ სამაზკომში შესაბამისი ინფორმაცია, რომლის საქმის გამომუშავება ევალება სამაზრო კომიტეტს, ცეკასაგან მიწოდებულ ინფორმაციის სქემის მიხედვით.

შენიშვნა: საჭიროების დროს ინსტრუქტორები ვალდებული არიან დაუყონებლივ მიაწოდონ ინფორმაცია ამა თუ იმ საყურადღებო საკითხის შესახებ.

8. არა ნაკლებ 6 თვეში ერთხელ სამაზკომის საორგანიზაციო განყოფილებამ უნდა მოიწვიოს სამაზრო ინსტრუქტორების, თემის პასუხისმგებელ მდივნების და სამრეწველო რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ნაწარმოები მუშაობის ჯამი და აგრეთვე დასახული მომავალი მუშაობის გეგმა.

9. მაზრის პარტკონფერენცია ხდება 6 თვეში ერთხელ, კონფერენციის დღის წესრიგი და მის მოწვევის დრო ორი კვირით ადრე უნდა ეცნობოდეს ცეკას.

სამაზრო პარტკონფერენციაზე ირჩევენ სამაზრო კომიტეტს არა ნაკლებ 9 კაცისაგან შემდგარს, კანდიდატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს კომიტეტის წევრების ერთმესამედს.

შენიშვნა: ახალციხეში, ახალქალაქში, ბორჩალოში, თიონეთში, სიღნაღში და დუშეთში. სამაზკომი უნდა შესდგებოდეს არა უმეტეს 7 კაცისაგან.

10. თბილისის კომიტეტს, თერთმეტი კაცისაგან შემდგარს და მათ კანდიდატებს ირჩევენ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციების კონფერენციაზე 6 თვის ვადით, კანდიდატთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ერთ-მესამედს.

კომიტეტი ირჩევს პრეზიდიუმს 5 კაცისაგან, რომლებიც თავის მხრივ ყოფენ პასუხისმგებელ მდივანს, უკანასკნელის პარტიული სტაჟი უნდა იყოს არა ნაკლებ 3 წლისა.

11. სამაზკომის მდივანი არის მთელი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი, რისთვისაც საჭიროა ის იყოს სათანადო რევოლიუციონერი და პარტიული გამოცდილებით აღჭურვილი. სამაზკომის მდივნისათვის საჭიროა არა ნაკლებ 3 წლის პარტიული სტაჟი.

12. პარტიულ მასსასთან დაახლოვებისათვის, თემების კომიტეტებზე იდეურ და პრაქტიკულ ხელმძღვანელობისათვის და ინსტრუქტორების მუშაობის კონტროლისათვის საჭიროა დებულია, რომ სამაზკომის წევრები უნდა იქნენ მიმაგრებული რომელიმე მაზრის ნაწილზე, საჭიროა აგრეთვე იქნენ მიმაგრებული კომუნისტურედებზე ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები.

13. პარტკომის საორგანიზაციო განყოფილება ჩონჩხია მთელი პარტიული ორგანიზაციის, ის საძირკველია პარტიული აღმშენებლობის, მასზედ დამოკიდებულია თითქმის მთელი პარტიული აპპარატის სიმტკიცე, მთლიანობა და უნარიანობა; მაზრის პასუხისმგებელი მდივანი მთელი პარტიული მუშაობის ხელმძღვანელია, ამისათვის საჭიროა, რომ პასუხისმგებელი მდივანი ერთ და იმავე დროს იყოს საორგანიზაციო განყოფილების გამგეც.

14. სხვა და სხვა ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის დასაჭერათ და პარტიული გავლენის გასაძლიერებლად, აგრეთვე მიშაობის მთლიანობის მისაღწევათ, საჭიროა სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან შესდგეს საორგანიზაციო კოლეგია შემდეგი წარმომადგენლობით:

პროფკავშირის, კომკავშირის, ქალთა განყოფილების და საგანგებო დანიშნულების ნაწილების წარმომადგენლებისაგან (სასურველია საორგანიზაციო განყოფილების გამგეები). კოლეგიის თავმჯდომარეობს პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

ჯოლიტტი მომენტის შესახებ.

ბორდო. 26 ივლისი (რადიო). ჯოლიტტიმ, რომელიც ამ ჟამად იმყოფება ბიშში, დაადასტურა თავისი უარის თქმა რომში დაბრუნებაზე და განაცხადა, რომ თუ ახალი კაბინეთი საბოლოოდ ალაგმავს ფაშისტებს, აუცილებელია სამოქალაქო ომი, და თუ არ მოხერხდა ფაშისტების დამარცხება, მაშინ კაბინეთი დაეცემა. ჯიოლიტი ძალიან მოხარულია, რომ იგი არ არის ჩარეული ამ თამაშში.

ბავარიის კონფლიქტი.

ლონდონი. 26 ივლისი (რადიო). დემოკრატიულ „ფოსიშე ცაიტუნგ“-ის განცხადებით გამწვავებული მდგომარეობა ბავარიისა და გერმანიის დანარჩენ ნაწილის შორის ალწევს უმაღლეს საფეხურს, გაზეთი აღნიშნავს, რომ არც ერთს სახელმწიფოს არ აქვს უფლება აამხედროს თავისი მოქალაქენი ნაციონალური კანონების წინააღმდეგ. გერმანიის ერთობა საფრთხეშია. ბავარიის მაგალითი შესაძლებელია გახდეს სახიფათო პრეცედენტი გერმანიის ცალკე სახელმწიფოების სახელმწიფოებრივ მთლიანობის საწინააღმდეგოდ გაძოსვლისა.

ყველაფერი იმას მოწმობს, რომ ბავარიის კონფლიქტი გასტანს არა დღეები და კვირეები. საკონსტიტუციო საკითხს განიხილავს უმაღლესი სასამართლო, რომელიც ეჭვი არ არის გადასჭრის მას ბავარიის საწინააღმდეგოდ. თუ ბავარია არ მოისურვებს მის გადაწყვეტილების დამორჩილებას, მაშინ კონფლიქტი შეჭა სერიოზულ ფაზაში. გერმანიის დანარჩენ სახელმწიფოებს შეუძლიან გახდენ შუამავლები ბავარიისა და გერმანიის დანარჩენ ნაწილის შორის.

— ინგლისის პრესა ფიქრობს, რომ ბავარიის კონფლიქტი აუცილებლად მიგვიყვანს ულტიმატუმზე, მოჰყვება სამოქალაქო ომი. ბავარიის კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტ ებერტს შეეძლო გაეგზავნა ბავარიაში საგანგებო კომისარი იქ საერთო—გერმანიის კანონების გასატარებლად.

— დემოკრატიული გაზეთი „მიუნხენერ ნეიესტე ნახრიხტენ“-ი ახასიათებს მდგომარეობას, როგორც ძნელ განსაცდელს.

პაპა რუსეთის შესახებ.

რომი. 26 ივლისი (რადიო). პაპამ გადაიხადა თავის კაპელში პარაკლისი რუსეთისათვის დახმარების მიცემის შესახებ. მიღების დროს პაპამ სურვილი გამოსთქვა, რომ რუსეთს მიეცეს დახმარება.

ამერკა-კავკასიის შეხვედრისამე საქართველო

ზუგდიდის მაზრაში

შრომის განყოფილებაში ივნისის განმავლობაში 1 ივლისამდე ითვლებოდა 18 უმუშევარი, კიდევ ჩაეწერა 21 უმუშევარი, რომლიდანაც 7 დაბრუნდა კაცია და 14 ქალი. გაგზავნილია საუშაოზე 14 უმუშევარი. ივნისის განმავლობაში გარიცხულია 3 კონფლიქტი მუშეების სასარგებლოდ.

სახელმწიფო დახმარება პენსიონერებსა და ინვალიდებისათვის საშუალებათა უქონლობის გამო არ აღმოუჩენიათ.

შრომის დაცვის კანონების დარღვევას ადგილი ჰქონდა ადგილობრივ სტამბაში, საიდანაც მოხსნილია სამუშაოდან 2 მცირე წლოვანი მუშა.

შრომისა და ტვირთზიდვის ბეგარა. ეკონომიურ განყოფილების განკარგულებაში იყო 95 ურემი და 140 მუშა; საბედრო უწყების გაეგზავნა 9 ურემი და 1 ცხენი, თესვის კომიტეტს 5 ურემი, ფოსტა-ტელეგრაფის გან—ბას 15 ურემი, სასურსათო კომისარიატს 7 ურემი და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს 14 ცხენი.

შვებულების ბოროტად გამოყენება. შემჩნეულია რომ, როდესაც ადმინისტრაცია შვებულებაში უშვებს ამა თუ იმ მოსამსახურეს, მის ადგილზე კი არ იწვევს მოადგილეს არამედ ა ანაწილებს სამუშაოს დარჩენილ მოსამსახურეთა შორის ან ეს მუშაობა სრულებით ჩერდება და მოსამსახურის დაბრუნებამდე გროვდება აუარებელი შეუსრულებელი საქმეები. როგორც პირველ ისე განსაკუთრებით მეორე შემთხვევაში შვებულებას სრულიად ეკარგება მნიშვნელობა. ამის გამო შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ გადაწყვეტა ებრძოლოს ასეთ მოვლენებს და დაუზოგველად მისცეს პასუხისგებაში დამხაშავენი, როგორც შრომის დაცვის კანონის დამრღვეველნი.

კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დრო. სატარიფო საბჭომ დაადგინა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების დროდ გამოაცხადოს 1 აგვისტო. იმ საერთო წესიდან გადახვევა დასაშვებია მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კოლექტიურ ხელშეკრულების დამტკიცება. ხელშეკრულება, რომელიც დადებულ იქნა მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატსა და ჩაქჩის და სალიბადის სახალხო მამულების მუშამოსამსახურეთა შორის მიწა ტყის კავშირის პრეზიდიუმის საშუალებით, დამტკიცებულ იქნა სატარიფო საბჭოს მიერ შემდეგი შეფარდების დაწესებით 1:4 პროდუქტების 60 პროცენტის შეგროვების კვალობაზე.

აფხაზეთი.

საბჭოთა მუშაკების კონფერენცია. საბჭოთა მუშაკების სრულიად აფხაზეთის პირველ კონფერენციას დაესწრო 29 დელეგატი. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენებაში აღნიშნულ იქნა მუშაობის დეფექტები. უმთავრესად მატერიალურ საშუალებათა უქონლობა. ქალაქის მოწყობის კომიტეტის მოხსენებაში მოყვანილია რაც დაწყებული და გაკეთებულია ამ უკანასკნელ დროს განმავლობაში ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზის გაყვანის საქმეში, ამასთანავე ნაჩვენებია, რომ საშუალებათა უქონლობა ხელს გვიშლის შევუდგეთ არამც თუ ახალი შარა-გზის გაყვანას, არამედ ძველების მოგვარებისაც. მოხსენებული იმედს გამოსთქვამს, რომ აფხაზეთის მოწყობის კომიტეტის ნიერ აფხაზეთის ცენტ. აღმასკომში შეტანილი პროექტი რესპუბლიკის ტერიტორიაზე შარა-გზის კაპიტალურ რემონტის შესახებ მიღებული იქნება.

სოხუმის ნავთსადგურში. 11 ივლისს მოვიდა ნავთსადგურში მოტორიან იალქნიანი ხომალდი „ანაიდა“ გაგრიდან უტვირთოდ. 12 ივლისს მოვიდა მოტორიან იალქნიანი ხომალდი „ჯესლან ბაგრი“ ბათომიდან 1[illegible] ტომარა ფქვილით და 10 ფუთი [illegible] ნუფაქტურით; 12 ივლისს კელასური[illegible] რიდან მოტორიანი კატერი „კოლხიდა“ 200 ფუთი სიმინდით და წავიდა ფოთში იმავე ტვირთით; ოდესიდან—მოტორიანი კატერი „კინოკა“ 15 ფუთი ტვირთით; კატერი რჩება სამუშაოდ სოხუმში; ტუაფსედან უტვირთოდ მოვიდა ნავი ვენერა ტუაფსედან მოტორთან იალქნიანი ხომალდი „იურკა“ უტვირთოდ.

ჭიათურის მაკვლევლობის მეხსიერება

ჯიმალ ფაშის ცხედრის გადასვენება

სათანადო ადგილას სდგას საპატიო ყარაული კავკასიის ცალკე არმიისა და საქართველოს წითელი არმიის ოცი საბჭოური ორკესტრითა და წითელი დროშებით.

ქუჩებზე დიდ-ძალი ხალხია, რომელიც თანდათან მატულობს. ყველანი ერთმანეთს უზიარებენ ზერელე შთაბეჭდილებას ჯემალ-ფაშის მოკვლის თაობაზე.

საავდმყოფოს სექციონურ დარბაზში სამი კუბოა, რომელნიც შიგნით ცინკის ჟესტით არის აკრული. პროფესორი ვიხრევი ათავებს განსვენებულთა გვამების განწყობილებას.

გამუდმებით კუბოებთან სდგას ანგოროის მთავრობის წარმომადგენელი ახმედ-მუხტარ ბეი, რომელიც სათანადო განკარგულებებს იძლევა.

10 საათისათვის საავთმყოფოს ეზოში მოვიდა მოლა, რომელსაც თან ახლავენ ქალაქის მაჰმადიანთა მცხოვრებლების წარმომადგენლები.

11 საათისათვის მოვიდენ საკავშირო საბჭოს წარმომადგენლები ამხ. მდივანი, ელიავა, ამიერ-კავკასიის რაიკომის მდივანი ამხ. მ. ორახელაშვილი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ა. გეგეჭკორი, აზერბეიჯანის წარმომადგენელი ნაჯაფოვი, არმიის სარდალი ამხ. ეგოროვი და წითელ პოლიტიკურ აღზრდა-განათლების მხრივ, როგორც პარტიულ, აგრეთვე ფართო უპარტიო მასსაში. აპარატის გაერთიანების შემდეგ მუშაობა ამ ორი ორგანოსი აუცილებლად გაღრმავებულ უნდა იქნეს, ერთიანებამ აუცილებლად სულ ერთიანად უნდა აღმოფხვრას ყოველგვარი სიბნელე მასაში.

2) პარტიულ ლიტერატურის უქონლობა, განსაკუთრებით ქართულ ენაზე, ყოველად შეუძლებლად ქმნის პარტიულ მასის აღზრდა-განვითარების საქმის წარმოებას, ამიტომ უნდა მოეღებულ იქნეს სასწრაფო ზომები ნაკლის თავიდან ასაცილებლად. სასწრაფოთ უნდა გამოცემულ იქნეს პარტიული ლიტერატურა, როგორც თარგმანი ისე ორიგინალი.

3) პარტიული მასის აღზრდა-განვითარება უნდა სწარმოებდეს პარტ სკოლების და პარტიულ კლუბების საშვალებით.

4) პარტიულ მასის ნამდვილ აღზრდის ერთი საუკეთესო საშვალებათაგანია პარტიული კლუბი, ამიტომ აუცილებლათ გასწორი უნდა იქნეს პარტიული კლუბები ყოველ სამაზრო ქალაქებში და პროვინციის მთავარ პუნქტებში, იმ სადაც პარტიული მასსა თავმოყრილია.

8) გაზეთი ერთი საუკეთესო იარაღია პარტიული და უპარტიო მასსის

საინფორმაციო მუშაობა.

1. საჭიროა ჩვენი ორგანიზაციის საინფორმაციო აპპარატის ჩამოყალიბება. ინფორმაცია ადგილებიდან არა სისტემატიურათ იგზავნება, მას მხოლოდ პერიოდული ხასიათი აქვს; ზემოაღნიშნული აიხსნება მაზრის ორგანიზაციების უყურადღებობით ამ არა რთულ მოთხოვნილებებისადმი. ჩვენს პარტიაში ამნაირი მდგომარეობა შემდეგში ყოველად დაუშვებელია. ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა: ინფორმაციის მომუშავეთა გაახლება და გაძლიერება შესაფერი ძალებით.

2. სამაზკომის ინფორმატორებმა უნდა დაიჭირონ მუდმივი კავშირი პროფკავშირის, პოლიტბიუროს, აღმასკომის, საგანგებო დანიშნულების და სხვა საინფორმაციო განყოფილებების გამგეებთან მუდმივი ინფორმაციისათვის.

3) ინფორმაცია უნდა გაეწიოს სისტემატიური ხელმძღვანელობა სპეციალურ საინსტრუქციო წერილების გაგზავნის სახით და მუშაობის უარყოფითი მხარეების აღნიშვნით.

4) ამავე მიზნით უნდა იქნეს გამოყენებული ინსტრუქტორები და სხვა პარტიული მომუშავები, რომლებსაც გზავნის მაზრაში ც. კ. და მისი განყოფილებები.

5) სამაზრო პარტკომები ვალდებულნი არიან წარმომადგინონ ცეკაში შემდეგი მასალები:

ა) ყოველთვიური ინფორმაციული ანგარიშები, რომელიც უნდა იგზავნებოდეს თვის თავზე.

ბ) პროგრამა პარტიულ ორგანიზაციის ყოველთვიურ ცნობებისა.

გ) განსაკუთრებული საყურადღებო მასალები ადგილობრივ ორგანიზაციის ცხოვრებიდან.

დ) ოქმები და ანგარიშები სამაზკომის და მსხვილ ადგილობრივ ორგანიზაციების სხდომების, კონფერენციების და ყრილობების.

ე) სამაზრო კომიტეტის მიერ გამომუშავებული ცირკულიარები და ინსტრუქციები.

ვ) ადგილობრივ გაზეთების ყველა ნომრების ფურცლები, მოწოდებები და სხვა.

საგიტაციო - საპროპაგანდო განყ. მუშაობა.

1) აგიტპროპის და პოლიტგანათლების აპპარატი გაერთიანებულია. გაერთიანებულ აპპარატის წინაშე გადაშლილია ფართო სამუშაო სარბიე-

სასურსათო გადასახადის კამპანია

მოგეყავს ახალი დამატებითი ცნობები, რომელიც ეს არის მიიღო სახალხო სასურსათო კომისარიატმა ბაზრებში სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ახალქალაქის მაზრა: თემებზე გადასახადის გაწერა დასრულდა. შეწერილობის ფურცლები ადგილებში დაიგზავნა ივლისის 12 ს. სათემო სამეთოთა პლენუმებმა სოფლებზე გადასახადის გაწერა დაასრულა. მთელი გადასახადის გაწერა დაასრულა. მთელი წინასწარი საორგანიზაციო მუშაობა ივლისის 30-ს დასრულდება. შეგროვება მაზრის დაბლობ ადგილებში დაიწყება აგვისტოს 15 ს, ხოლო მთა გორიან ადგილებში—სექტემბრის 1-ს.

ახალციხის მაზრა: სამეულმა გამოარკვია ტიპი იმ მეურნეობათა, რომელიც უნდა განთავისუფლდეს გადასახადისაგან. ივლისის 9 ს გადასახადი თემზე იქმნა განაწილებული. სოფლებზე და გადამხდელთა შორის გადასახადის გასანაწილებლად გაწეულ იქმნენ პასუხისმგებელნი ამხანაგები. რაც შეეხება გადასახადის ნარჩენს, სამეულს საჭიროდ მიაჩნია, მარცვლეულის, კართოფილის და ხილის შეგროვება. ნარჩენის ანგარიშში შეჩერებულ იქმნეს ამ პროდუქტების მოსავლის სრულ გამორკვევამდე, ხოლო ხორცი, ერბო და ყველი ახლავე იქმნეს აკრებილი.

სენაკის მაზრა: ივლისის 9 ს მოწვეული იყო თემის აღმასკომთა ყრილობა, რომელზედაც პირველ კითხვად იდგა 1922 წლის ნატურ-გადასახადის განაწილება და მოგროვება. მაზრაში 31 თემი შედის. მიმდინარე გაჩეხებულ მკის გამო დაესწრნენ მხოლოდ 21 თემის წარმომადგენელნი, დიდის ყურადღებით იქმნა მოსმენილი ამხ. ს. თავდიშვილის მოხსენება სასურსათო საქმის შესახებ საერთოდ და 1922 წლის ერთიან ნატურგადასახადის განაწილებისა და შეგროვების შესახებ კერძოდ. მიღებულ იქმნა რეზოლუცია, რომლითაც ყრილობა, სცნობს რა წრევანდელ გადასახადს როგორც პრინციპიალურად, ისე ტეხნიკურად სრულიად მისაღებად, აღუთქვამს მის განხორციელებას უახლოეს დროში.

უნდა ითქვას, რომ წარშანდელ უდიერ და მძიმე მრავალსახიან გადასახადის ერთიანი გადასახადით შეცვლამ გლეხებში დიდი კმაყოფილება გამოიწვია.

ყრილობამ განიხილა გადასახადის ნარჩენის კითხვაც და დაადგინა; გარდა პურისა, რომელიც წარშან ძლიერ მცირე შემოვიდა, გადაიხადონ სხვა პროდუქტები შეძლებისდა გვარად, პირველ რიგში კი დაიყენონ მიმდინარე 1922 წლის გადასახადი.

დიდი კამათი გამოიწვია სურსათის გადმოტანის კითხვამ, რადგან მაზრის გზები მეტის მეტ ცუდ მდგომარეობაში არის და მუშა საქონელიც მოღლილი და შემცირებულია.

დადგენილ იქნა, რომ რათა ხელი არ შეუშალოს თემებს გადასახადის შეგროვებაში, ეხლავე მოეთხოვოს კომისარიატს 20,000 ტომარა, რაც-

შრომის კომისარიატში

ცირკულიარულად

ყველა წარ-ლებათა და დაწესებულებათა ადგილკომებსა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო!

ახალი ეკონომიური პოლიტიკით და შტატების მასიური შემცირების გამო საერთოდ საქართველოში და კერძოდ ტფილისში თავი იჩინა უმუშევართა რიცხვის ზრდამ, რომელმაც მიიღო სერიოზული ხასიათი და მოითხოვს შრომის სახალხო კომისარიატისა და საქ. პროფკავშირთა საბჭოს მხრივ განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას და გადამწყვეტ ბრძოლის წარმოებას, რისთვისაც აუცილებელია პროფ-ორგანიზაციების მიერ რაც შეიძლება ფართე დახმარების გაწევა ადგილკომებისა და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების სახით, და რესპუბლიკის მთელი ძალების დარაზმვა, იმ შეგნებით, რომ ასეთი ბრძოლა წარმოადგენს მორიგ კამპანიას.

ამ შემთხვევაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებსა და ადგილკომებს შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნეთ.

უმუშევრობასთან ბრძოლა მიზანშეწონილად ჩაითვლება და მიაღწევს თავის მიზანს იმ შემთხვევაში, თუ კი ამა თუ იმ რაიონში მუშა ხელის მოთხოვნისა და განაწილების საქმე იქნება მოქცეული მხოლოდ ერთ ორგანოში, შრომის ბირჟაში, რაც ამ ჟამად სრულათ არ არის გატარებული.

მრავალი წარმოება-დაწესებულება გვერდს უქცევს მუშა-მოსამსახურეთა სამსახურზე მიღების კანონს და გარეშე შრომის ბირჟისა და ადგილკომებისა აწარმოებს მიღებას, რითაც შეაქვეთ დეზორგანიზაცია გეგმიურ მუშაობაში.

ზემო-აღნიშნულ მოვლენის აღმოსაფხვრელად საჭიროა საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტებმა და ადგილკომებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოებს (შრომის ბირჟებს), რომლებიც არსებობენ ქ. ტფილისა, ბათომსა, ქუთაისა, ფოთსა და სოხუმში, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში სამაზრო შრომის განყოფილებებს, შემდეგი კავშირის დაკავებით და მათთვის ცნობების თავის დროზე მიწოდებით, რაც ხელს შეუწყობს, რათა იქნეს მიღებული შესაფერი ზომები შრომის კანონდებულების დარღვევის და მუშა მოსამსახურეთა უკანონო მიღება-დათხოვნის წინააღმდეგ, ვინაიდან მარტო შრომის სახ. კომისარიატის აღნიშნული ორგანოები მოკლებულნი არიან ფიზიკურ საშუალებას, რომ თვალ-ყური ადევნონ კანონის დარღვევის ყოველ ცალკე შემთხვევას.

ქრონიკა

◆ **ფოსტა-ტელეგრაფი პროვინციაში.** წაღვერში გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ამ დღეებში ამგვარივე განყოფილებები გაიხსნება ბახმაროში, ცემში და გომში.

◆ **შრომის ბირჟის გამგეების ამიერ კავკასიის თათბირი** ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ დანიშნულია 13 ივლისისათვის.

დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) შრომის სამაზრო განყოფილების ორგანიზაცია ამიერ კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატთან, 3) შრომის ბირჟის სტუქტურა, 4) შრომის ბირჟის კომიტეტები, 5) დაქირავებული შრომის პირების მიღება-დათხოვნის წესი, 6) უმუშევრების სამუშაოზე გაგზავნის წესი და 7) ადგილობრივი ორგანოების ცენტრთან ანგარიშის გასწორების წესი.

— **უმუშევართა რიცხვის შემცირებისთვის.** შრომის სახ. კომისარიატის შრომის დაცვის განყოფილებამ მიაქცია ყურადღება, რომ ზოგიერთ წარმოებებში, უფრო ხშირათ პურის საცხობებში და სახალხო კვების და წესებულებებში მუშების და მოსამსახურეების რიცხვი გაცილებით ნაკლებია იმაზე, რაც საჭიროა წარმოების მუშაობისათვის.

◆ **ტვირთზიდვის და შრომის ბეგარა თბილისში.** ქალაქის აღმასკომმა მიიღო დადგენილება თბილისში შრომის და ტვირთზიდვის ბეგარის ნატურალურად ფულის გადახდით შეცვლის შესახებ. გამომუშავებული განაკვეთი 5 მანეთი ოქროთი 6 დღის შრომის ბეგარის მოსახდელად და 10 მანეთი ოქროთი ტვირთზიდვის ბეგარის მოსახდელად.

◆ **ორიგანული სალამო-კონცერტი.** მიხ. კავსაძის გუნდის მიერ დღეს იმართება წითელ-არმიელთა კლუბში (ყოფ. ქართული კლუბი) საინტერესო საღამო კონცერტი: 1) მუსიკის შესახებ ლექცია, 2) სახალხო სიმღერები და ევროპიული რატილის კილოები, 3) სცენა-სიმღერებით სოფლის ცხოვრებიდან და 4) ფერხული-ცანგალა. შემოსავალი ხმარდება გუნდის ფონდს.

◆ **ახალი ჟურნალი.** ამ დღეებში გამოდის პირველი ნომერი საობუნჯო-სურათებანი ყოველკვირეულ ჟურნალის „ბიჩისა“. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ პეტროგრადის „სატირიკონის“ და „ბიჩის“ ყოველი თანამშრომლნი და ყველა ადგილობრივი საუკეთესო სალიტერატურო და სამხატვრო ძალები. ჟურნალი მიაქცევს უმთავრეს ყურადღებას დღიურ ჰერვარამს და ხელოვნების საკითხებს—ცალკე გვერდი ეძნება დათმობილი ყველა ცნობილ ტფილისის მოღვაწეობის მეგობრულ შარჟებს და სახუმარო ბიოგრაფიებს.

ჟურნალის სალიტერატურო-სამხატვრო ნაწილის გამგეთ მოწვეულია ცნობილი ფელეტონისტი ლეონიდე საიანსკი. პირველ-ნომრისათვის წარადგინეს თავიანთი ნაწარმოებები შემდეგმა პოეტებმა და ჟურნალისტებმა.

კ. ანჩარსკიმ, მაქსიმმა, არესნიმ, ბიჩმა, კატანიანმა, ასილოვმა და სხვებმა.

„ბიჩის“ ილიუსტრაციას განაგებენ მხატვრები: ჩაკრიზოვი, კროტკოვი და სხვები. ხელმისაწდომი ფასი (15 ათასი მანეთი) და მდიდარი შინაარსი იმედს იძლევა ჟურნალის წარმატებისათვის.

დღეს თეატრებში:

რუსთაველის თეატრში—ვ. მაქსიმოვის უკანასკნელი გასტროლი „ქალი კამელიებით“. ქართულ კლუბის საზაფხულო თეატრში—მუსიკალურ კომედიის წარმოდგენა. სამხატვრო წრის თეატრში (სოლოლაკი 13)—კონცერტ-კაბარე. საზაფხულო თეატრ არტოში—საღამო წარმოდგენა. სომხეთის კლუბის თეატრში—წარმოდგენა სეირნობა. ცენტრალური მუშათა კლუბში—ქონდრის კაცების წარმოდგენა. ც. რ. კ. ახალ თეატრში—კონო. თავისუფალ თეატრში—ნიღაბოსანთა წარმოდგენა. თეატრ ამირანში—კონცერტი კაბარე. პროფკავშირის კლუბში—სალიტერატურო საღამო. ცირკში—მრავალფეროვანი პროგრამა.

კანო თეატრებში:

სოლეილში—საძდეთო ბრილიანტი. არფასტოში—შავი მთის საიდუმლოება. ეთერში (სახ. ოპერის ბაღში)—კინო დრამა. ოაზისში—თეთრ კბილებიანი ნიღაბოსანი.

შეცდომების გასწორება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში უნებლიედ გაიპარა შემდეგი კორექტურული შეცდომები: გაზეთის მესამე გვერდზე ქრონიკაში დაბეჭდილია: „სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერაპევტიული **კომპანიისათვის**“,—უნდა იყოს „სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერაპევტიული **კლინიკისათვის**“.

იმავე გვერდზე დაბეჭდილია „1 კატეგორიის ჯამაგირად, 17 ხარისხიანი სატარიფო ქსელის მიხედვით დაწესებულია **164.000** მანეთი“.—უნდა იყოს: „1 კატეგორიის ჯამაგირად, 17 ხარისხიანი სატარიფო ქსელის მიხედვით დაწესებულია **964.000** მანეთი“.

პროლეტარის სიმღერა

მე, პროლეტარს, სამშობლო
არსად არ გამიჩნია,
სიცილი და ტირილი
ერთ ფასად მიმიჩნია.

ბრძოლისთვის შემიწირავს
ჩემი სიცოცხლის დღენია,
სული მომავალს ეტრფის
გულს არ მოუწყენია.

ვეტრფი ჩაქუჩს და ნამგალს,
ვეტრფი მჭედლის გრდემლის ხმას,
ვეტრფი შრომის ქვეყანას,
ვეტრფი მუშის გულის თქმას.

შრომის მტრებთან ბრძოლაში
თავი არ მებრალება,
ცხოვრების საიდუმლო
მე ვერ დამემალება.

ყველაფერს ვყრძნობ და ვხედავ
მუშურ მახვილ გონებით,
ჩემი მუზაც მუშაა
ვსუნთქავ ბრძოლის ოცნებით.

მე არ ვიცი არცა მწამს
შავი სევდა დარდები,
მგოსანი ვარ შრომისა
ვის არ შევუყვარდები?

გიორგი ჩარხიშვილი.

პარტიული ცხოვრება

ძ. ზესტაფონი.

ამა წლის პირველ ივლისს შესდგა ზესტაფონის რაიონში არსებულ კომიაჩეკების გაერთიანებული კრება ადგილობრივ თეატრში, დაესწრო ოთხას კაცამდე.

კრება გაიხსნა სამაზრო პარტკომის პრეზიდიუმის წევრმა ამხ. მიხა კილაძემ.

მოხსენება გააკეთა—ესერების პროცესის შესახებ, სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ალ. ვაშაძემ. მან ვრცლად დაახასიათა ესერების კონტრრევოლიუციონური მოქმედება, მათი სატარებლათ—მიზან-შეწონილია დამხმარე უჯრედების დაარსება.

2) დამხმარე უჯრედები არსდებიან ფაბრიკა-ქარხნებში, წითელ-არმიაში და სოფლათ.

3) დამხმარე უჯრედების წევრათ შეუძლიათ იყვნენ მხოლოდ მუშები, წითელ-არმიელები. და გლეხები, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებაში.

4) დამხმარე უჯრედებში ჩასარიცხავათ რეკომენდაცია არ არის საჭიროებულო, მაგრამ ყოველივე მის წევრს ამტკიცებს კომუჯრედი.

5) დამხმარე უჯრედის წევრებიდან გამორიცხვის უფლება აქვს კომუჯრედს.

6) დამხმარე უჯრედი ასრულებს კომუჯრედის, საქარხნო კომიტეტის, კომფრაქციის და პარტკომების დავალებებს.

7) დამხმარე უჯრედი თავის პრეზიდიუმს არ არჩევს.

8) დამხმარე უჯრედის წევრები საწევრო გადასახადს არ იხდიან.

9) საზხედრო ვარჯიშობა დამხმარე უჯრედის წევრებისათვის სავალდებულო არ არის, არამედ დამოკიდებულია მათ სურვილზე.

10) არავითარ მოწმობას დამხმარე უჯრედების წევრს პარტია არ აძლევს.

11) წერა-კითხვის არა მცოდნე დამხმარე უჯრედების წევრები ვალდებულნი არიან გაიარონ წერა-კითხვის ლიკვიდაციის კურსი.

12) ყველა დამხმარე უჯრედის წევრები ვალდებულნი არიან გაიარონ პოლიტ განათლების კურსი.

13) დამხმარე უჯრედი იკრიბება ორ კვირაში ერთხელ მაინც კომუჯრედის ერთ-ერთ წევრის აუცილებლათ დასწრებით, რომელიც იქნება გამოყოფილი დამხმარე უჯრედისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ.

14) დამხმარე უჯრედის წევრებს შეუძლიათ დაესწრონ კომუჯრედის სხდომებს სათათბირო ხმით (გარდა დახურული სხდომებისა).

15) დამხმარე უჯრედის წევრები ვალდებული არიან გამოიჩინონ ამა თუ იმ კამპანიის ჩატარების დროს მაქსიმალური ენერგია და ინიციატივა.

16) პარტიაში კანდიდატათ ჩასარიცხავათ უპირატესობა ეძლევათ დამხმარე უჯრედების წევრებს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრებაში

დამზღვევი კასა.

(კითხვა პასუხი).

კითხვა: რამდენი ხნით შეიძლება განთავისუფლებული იქნეს სამუშაოდან კასის მონაწილე, დროებითი შრომის უნარის დაკარგვის დროს, ავადმყოფობისა თუ მცირე დაშავების გამო?

პასუხი: უდიდეს (მაქსიმალურ) ვადათ სამშრომლატორიო ავადმყოფთა გასანთავისუფლებლათ დაწესებულია სამი დღე, ხოლო სტაციონარ (თავის ბინაზე, ან საავადმყოფოში წოლარე) ავადმყოფთა გასანთავისუფლებლათ შვიდი დღე; ამ ვადის განმავლობაში საამშრომლატორიო—(ფიზიური მოსიარულე) ავადმყოფი მივალეა შესამოწმებლად გამოცხადდეს იმ ექიმთან, რომელთანაც წამლობს, ხოლო ბინაზე, ან საავადმყოფოში მწოლარე ავადმყოფებს თვით ექიმმა უნდა მისცეს „ბიულეტენის“ გაგრძელება

კითხვა: როგორ უნდა მოიქცეს ავადმყოფი, როდესაც მას სრულიათ გამომრთელებისათვეს (ან მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ექიმის რჩევით) ესპროება ხანგრძლივი დასვენება შვებულების სახით?

პასუხი: ასეთ შემთხვევაში ავადმყოფმა უნდა მიმართოს საექიმო-საკონტროლო კომისიას, რომელსაც უფლება აქვს მასცეს მას შვებულება.

კითხვა: რომელ დაწესებულებათ აქვს უფლება ასეთ ავადმყოფების საკონტროლო კომისიაში გაგზავნისა?

პასუხი: საექიმო-საკონტროლო კომისიას განსახილველათ საქმეებს უგზავნიან: საექიმო დაწესებულებანი და ცალკე ექიმები, რომელთაც უფლება აქვთ გასცენ საბუთები დროებით შრომის უნარიანობის შესახებ.

კითხვა: რა საბუთებია საჭირო საექიმო საკონტროლო კომისიაში შემოწმების დროს წარსადგენათ?

პასუხი ავადმყოფობის გამო შვებულების მისაღებათ ავადმყოფი მოვალეა წარადგინოს კომისიაში: მოწმობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილების იმ ექიმებისა, რომელნიც ავადმყოფს სწამლობენ; მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს: ავადმყოფობის დიაგნოზი, რა ხნიდან ექიმობს ავადმყოფი, მოკლე ისტორია ავადმყოფობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ჟამად. თუ კომისიაში გაგზავნებიან მარტო საქარხნო საფაბრიკო კომიტეტების და კერძო ექიმების შემოწმებით, კომისია მათ არ შეამოწმებს.

კითხვა: შეიძლება თუ არა წარმოება დაწესებულების ადმინისტრაციას დააკვლოს ავადმყოფი, როდესაც მას უკვე მიცემული აქვს შვებულება კომისიისაგან?

პასუხი: თუ კომისია იცნობს, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობა საჭიროებს სანატორიაში წასვლას, (ჰაეის გამოცვლას), მაშინ ავადმყოფს დაუყოვნებლივ ეძლევა ადმინისტრაციისაგან თანახმად კომისიის დადგენილებისა, შესაფერი საბუთები და ის მიდის დასასვენებლად; მხოლოთ, თუ კომისიამ მისცა ავადმყოფს შვებულება, მარა მისი გამოყენება სასწრაფოთ არ იცნო, მაშინ შეიძლება ადმინისტრაციამ ავადმყოფს შვებულება დაავგვიანოს, ხოლოთ არა უგვიანეს მომდევნო თვის პირველი რიცხვისა, დღიდან კომისიის დადგენილებისა.

კითხვა: რამდენი ხნით არის განსაზღვრული შვებულების ვადა ასეთ შემთხვევაში?

პასუხი: შვებულების უდიდესი ვადა ასეთ შემთხვევისათვის განსაზღვრულია ერთი თვით. ხანმოკლე ავადმყოფობით შეპყრობილნი, რომელთა ავადმყოფობაც ორ კვირას არ აღემატება, კომისიისაგან შვებულებას არ მიიღებენ, მათ შვებულება უნდა მიიღონ საზოგადო წესის თანახმად, ბიულეტენებით იმ ექიმებისაგან, რომელთანაც წამლობენ.

კითხვა: ვინ აძლევს შვებულებას იმ ავადმყოფებს, რომლებიც იგზავნებიან ადრაკურორსა და სანატორიუმებში ჯანმრთელობის კომისარიატის ხარჯზე?

პასუხი: ჯანმრთელობის კომისარიატისა და მისივე ადგილობრივი განყოფილებათა საექიმო სანატარიო საექიმო კომისია.

კითხვა: როგორ უნდა მიიღონ შვებულების გაგრძელება, თუ ის საჭირო აღმოჩნდება, იმ ავადმყოფებმა, რომლებმაც კომისიისაგან მიიღეს შვებულება, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზის გამო დარჩნ ქალაქათ, ან დროებით გავიდენ სოფლად?

პასუხი: იმ შემთხვევაში როდესაც საჭიროა შვებულების გაგრძელება, ავადმყოფნი მოვალენი არიან წარუდგინონ კომისიის ცნობები იმავე ამბულატორიისა და იმავე ექიმებისაგან, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშაც ისინი იმყოფებოდენ; სოფელში გაწვეულთ კი შეიძლება შვებულება გაუგრძელდეს ჯანმრთელობის საბჭოთა ხელისუფლების დასაბუთებით, მათი ტერორისტული აქტები რევოლიუციის ბელადების წინააღმდეგ, მათი კავშირი ადგილობრივ და უცხოელ თეთრგვარდიელებსა და კაპიტალისტებთან. დღეს ეს ბოროტმოქმედი ესერები სხვადან მოსკოვში ბრალდებულთა სკამზე. მათ ასამართლებს პროლეტარიატი რევოლიუციის ღალატისათვის და ეჭვი არ არი, ღორსეულ განაჩენს გამოუტანს მუშების და გლეხების სასამართლო ამ უბოროტეს მტრებს. მოხსენების გამო კრებამ მიიღო რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ესერების გამცემლურ მოქმედების შესახებ, ჩვენ მოვითხოვთ მათ სასტიკ დასჯას.

ძირს უაჩ ე კაპიტალისტების ლაქიები, რომელნიც გახვრული არიან სოციალიზმის ქურქში. ზიზღი მათ დამცველთ. უმაღლესი სასჯელი მოღალატეებს.

სერგო ზარნელი.

სამხედრო ხე-ტყის სახერხი ქარხნის კომიაჩეიკაში.

ამა წლის ივლისის განმავლობაში იაჩეიკას კრება სამჯერ ჩონდა.

კრებებზე პოლიტიკური ხასიათის საკითხები ისმებოდა. კომიაჩეიკის კრებებზე ყველა წევრები ბეჯითად ესწრებიან. კომიაჩეიკებზე პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრების გამო კრებები ახლა ბევრათ უფრო ცოცხლათ ტარდება, ვიდრე უწინ: ამხანაგები მომხსენებელს აძლევენ მთელ რიგ საკითხებს და თვითონაც ღებულობენ ამა თუ იმ საკითხების გარჩევაში მონაწილეობას. უკანასკნელ შორიგ კრებაზე ამხ. ვაშაძემ მოხსენება გააკეთა ამხ. კამოს ცხოვრებაზე და მოლვაწეობაზე და კომიაჩეიკამ, მოისმინა რა იგი, დაადგინა, რათა თვითეულმა ამხანაგმა გადადოს თავისი ორი დღის სამუშაო ხელფასი კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდისთვის.

ამ ხნის განმავლობაში კომიაჩეიკების ღია კრებები არ იმართებოდა, ვინაიდან ნელი მასალის უქონლობის გამო ქარხანა უქმად იდგა და მუშები შვებულებაში იყვნენ.

ეწყობა დაბხმარე კომიაჩეიკები და წრეები, რომლებსაც მიზნათ აქვს დაახლოს გაზეთების კითხვა და მიმდინარე საკითხების გარჩევა.

კელეხსაევი.

ნარკომეგობით პროფკავშირებში

მარტვილის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ა. წ. 8 ივლისს შედგა მარტვილის რაიონის პროფკავშირთა წარმომადგენლების კონფერენცია (რიცხვით 25 დელეგატი). პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ ერთხმად: ი. მონიავა, გ. გაბისონია და დ. ჯანჯღავა, კონფერენციას თავმჯდომარეობს ამხ მონიავა, რომელიც ხსნის მას „ინტერნაციონალით“.

დღიურ წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ.
2. კავშირის მნიშვნელობა და თავის წევრისა.
3. ორგანიზაციული საკითხი.
4. მუშკომის დაარსება.
5. რაი პროფკავშირის გამგეობის არჩევა.

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მოკლეთ ამხ. გ. გაბისონია, გამგეობის მუშაობა კონფერენციამ სცნო დამაკმაყოფილებლად არსებულ პირობებში.

მეორე საკითხის შესახებ ვრცელ მოხსენებას აკეთებს ამხ. ა. ოჩიგავა. თუ რა მნიშვნელობა აქვს კავშირში თავის მოყრას მუშა მოსამსახურეებისა, აღნიშნა კავშირის დღევანდელი ამოცანები ტ შეიხა ავრეთვე კავშირის თავისუფალ წევრობას. კონფერენცია მოხსენებით დარჩა კმაყოფილი.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს იგივე ამხ. ა. ოჩიგავა. იგი აცნობს კონფერენციას პროფკავშირების ორგანიზაციულ სტრუქტურას.

მუშკოოპის ღაარსება კონფერენციამ აუცილებლად სცნო. არჩეულ იქმნა შესაფერი კომისია.

შემდეგ მოხდა რაი პროფკავშირის გამგეობის არჩევა. გავიდა კომფრაქციის მიერ წამოყენებული სია დიდი უმრავლესობით (22 ხმით, 3 თავი შეიკავა) აირჩიეს შემდეგი ამხ.: მ ლ. ბარტყავა, გ. გაბისონია, ი. მონიავა, დ. ჯანჯღავა, დიმ. თოშხუა, ანდრი გვილავა და კ. ჯანჯღავა. კონფერენცია საღამოს 7 ნახევარ საათზე იხურება „ინტერნაციონალით“.

ი. მონიავა.

პროვინციაში

ქ. ჯიათურა.

17 ივლისს ა | წ. ქ. ჯიათურის პირველ მთლიან შრომის სკოლაში გაიხსნა ჯიათურისა და მისი რაიონის მასწავლებელთათვის საპედაგოგო კურსები.

კურსების მოწყობის მიზეზი შემდეგი გარემოება ყოფილა: სამოსწავლო წლის დასასრულს პირველ მთლიან შრომის სკოლის გამაეს ღირსი ბარათაშვილის აღუძრავს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა მას მიეღო თავის თავზე ხარჯები მასწავლებელთა კურსების მოწყობისა და მით მომავალი სამოსწავლო წლიდან ხელი შეეწყო სწავლა აღზრდის საკითხის იმ კალაპოტში ჩაყენებისათვის რომელსაც გვიხატავს ჩვენ მთლიანი შრომის სკოლის დებულებანი. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალერიან გოციერიძე ამ საქმეს ყურადღებით შეხვედრია და აღუთქვამს ყოველ გვარი დახმარება, უკეთუ მასწავლებლობა გულმოდგინეთ მოჰკიდებს ხელს საქმეს და შეეცდება გამოიყენოს ეს კურსები ხალხის შვილთა კეთილად აღსაზრდელად და კეთილ გზაზე დასაყენებლად. ამის შემდეგ მომხდარა მასწავლებელთა საზოგადო კრება, რომელსაც მოუმენია რა დ. ბარათაშვილის მოხსენება კურსების მოწყობის აუცილებლობის შესახებ, დაუგენია მისი (კურსების) მოწყობა ჯიათურაში.

დღეს კურსებზე მაცადინეობას წარმოებს. მოწვეულია თბილისიდან კარგათ ცნობილი ლექტორი პეტრე ჩარექაშვილი, რომელიც კითხულობს ლექციებს შემდეგ საგნებში: ა) თანამედროვე პედაგოგიური მიმართულებანი, ბ) დიდაქტიკა და 3) შრომის სკოლის პრინციპები. გარდა ამისა წაიკითხავს კიდევ ეპიზოდიური ხასიათის 5 ლექციას შესახებ მათემატიკის სწავლების ახალი მეთოდებისა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მოხსენებული ლექტორი დიდს შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელებზე თავისი დინჯი, მოფიქრებული და დაკვირვებული ლაპარაკით და მსმენელნიც დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ხსენებული ლექტორისაგან ბევრს რამეს შეიძენენ პოზარდი თაობის სწავლა აღზრდის საქმეში გამოსაყენებელს.

გარდა პ. ჩარექაშვილისა, ლექციებს კითხულობენ კიდევ შემდეგი პირნი: ესეევლოდ კაპანაძე ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში, და იპოლიტე ვართაგავა—ქართულ ლიტერატურიდან და მეთოდიკიდან. მოხსენებულნი პირნი ცნობილნი არიან და თავის ადგილზე დგანან.

მოწვეულია აგრეთვე საბავშვო ბაღისა და მისი ორგანიზაციის ლექტორი თბილისიდანვე, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი არ მოსულა. კურსებზე ასწავლიან ხატვასაც.

მსმენელთა რიცხვი 70 დეა. მათ ეძლევათ სამეცნიერო ჰაეთურის აღმასრულებელი კომიტეტის საშუალებიდან ბინაც სასწავლებელში აქვთ მოწყობილი სათანადოთ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ერთად ერთი ადგილია წელს ჰაეთურა, სადაც მოეწყო მასწავლებელთათვის კურსები, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია ადგ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვალ. გოგოცერიძე.

კურსები გასტანს სრული ერთი თვე.

დამხვრე.

ს. კოლაგში

(სენაკის მაზრა).

თუმც მშრომელ გლეხობას დასამუშავებელი მიწა საკმაოთ არას დროს არ ჰქონია, მაგრამ ამ წელში რამოდენიმე დესიატინა სათესი კომიტეტს თავისი დაუდევრობით დაუთესავი გაუშვია. ეს იმ დროს, როდესაც ამ სოფელში არამქონე და ღარიბი გლეხი ბლომათ მოიპოვება. და კიდევაც სამართლიანათ ჩაეჩვენ.

საჭიროა გლეხების სამართლიანი განცხადება დაკმაყოფილებულ იქნას და შემდეგისთვის ასეთი დაუდევრობა არ განმეორდეს.

ნ. დეკვა.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ მოთავსოთ გაზეთში შემდეგი წერილი: დღიდან მე ვტოვებ მენშევიკურ პარტიას იმიტომ, რომ საქართველოს მენშევიკური პარტია აწარმოებს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ასეთი ბრძოლა ძიაქანებს მუშებს დღეუპვე უფსკრულისაკენ. ხოლო რადგანაც მე მუშა ვარ, არ შემიძლია ასეთ დანაშაულობაში მივცეო მონაწილეობა და მომავალში პასუხის მგებელი ვიყო მენშევიკურ პარტიის მუშაობისათვის მე გამოვდიდარ ამ პარტიიდან.

კირილე ჯაბრიელაშვილი.

მთავრობის მოკლედებანი და განკარგულებანი

ბრძანება № 29.

ს. ხ. ხ. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისა.

ივლისის 25 1922 წ.

ქ. თბილისი.

დასამატებლად და განსამარტებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა ა. წ. ივლისის 21 თარიღით № 22 რომელიც გამოცხადებულ იყო „Правда Грузии“-ს ა წ. ივლისის 25 თარიღით № 368, ვბრძანებ.

§ 1.

ის პირნი რომელნიც ჩამოდიან საქართველოს საზღვრებში სახლის დამორებში ჩაწერილ უნდა იქნენ სამილიციო კომისარიატში, ხოლოდ მას შემდეგ, როცა წარადგენენ ს. ხ. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწმობას საქართველოში ცხოვრების ნებადართვის შესახებ.

§ 2.

ის პირნი, რომელთაც არ ექნებათ სათანადო ნებართვა საქართველოში საცხოვრებლად, ვალდებულნი არიან 24 საათის განმავლობაში მოწმობის მიცემის ჟამის მღებიდან, დასტოვონ რესპუბლიკის საზღვრები.

§ 3.

ის პირნი, რომელნიც მოვლინებულნი, არიან საქართველოში უნდა ჩაიწერონ მივლინების დოკუმენტების მიხედვით 15 დღის ვადით, ჩამოსვლის დღიდან, ამ ვადის გათავების შემდეგ, ესა თუ ის პირი კიდევ რჩება რესპუბლიკის საზღვრებში, ვალდებულია მიიღოს ს. ხ. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწმობა საცხოვრებლად იმ ვადით, რომელიც მისთვის აუცილებლად იქნება მიჩნეული.

§ 4

რესპუბლიკის საზღვრებში სათანადო ხელისუფალთ: მილიციის უფროსებს, შენობების კომენდანტებს აგრეთვე სახლის მართველებს, პატრონებს და მეზობელი ეკალებათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანების შესრულებას.

§ 5.

ის პირნი, ვინც არ დაიმორჩილება ამ ბრძანებას, დატუსაღებული იქნება ადმინისტრატიული წესით და გადაეცემა რევტრიბუნალს.

§ 6

ეს ბრძანება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა გაზ. „კომუნისტში“ და Правда Грузии“-ში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მართველი **დ. ჩიქოვანი.**

ცენტროეგაკის გამგე **ა. კაკაბაძე.**

პარტიული

— ს. კ. პ. თბ. ორგანიზაციის 1 რაიკომი აუწყებს ყველა კომიაჩეიკებს, რომ 28 ივლისს, პარასკევს, მორიგ ერთიან პარტიულ დღეს დღიურ წესრიგში დასვან შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება პროფკავშირების ახალ ამოცანებზე.
2. მოხსენება ახ. კომ. კ. იაჩეიკების მდივნებისა და კომიაჩეიკიდან გამოყოფილ წარმომადგენლისა.
3. ორგანიზატორის მოხსენება ქალთა შორის მუშაობაზე.
4. კორესპონდენტის მოხსენება თავის მუშაობაზე.

ამხანაგები, რომლებიც მიმაგრებული არიან რაიონზე, ვალდებული არიან პროფკავშირების ამოცანებზე მოხსენება კომათის სახით ჩაატარონ.

1 რაიონის პას. მგ. მდივანი: **გოლდბაუმი.**

საქედაქციო კოლეგია.

განცხადება.

კვირას, ივლისის 30 ს ა. წ. დილის 11 საათზე სოფ. **მუხრანში** (დუშეთის მაზრა) ქართლის სახალხო მამულის კანტორაში მოხდება სიტყვიერი

საჯარო ვაჭრობით

ქართლის სახალხო მამულის მიმდინარე წლის

ხეხილის ბაღის მოსავლის გაყიდვა

მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე წარმოადგინონ განცხადება თავიანთ პირობების შესახებ დახურულ პაკეტებში.

თუ რაიმე მიზეზით აღნიშნული ვაჭრობა არ შესდგა, განმეორებითი ვაჭრობა მოხდება შემდეგ კვირას, 6 აგვისტოს.

ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველთ უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება მამულის მოურავის სახელზე 10.000 მან. მარკას დაკვრით და წარმოადგინონ საწინდარი ათი მილიონი მანეთი. დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება თბილისში მიწათ-მოქმედების კომისარიატის საცდელ საქმის ქვე განყოფილებაში და თვით მამულში (სოფ. მუხრანი).

2—1

განცხადება

თბილისის აღმასკომის გადასასადთა ბიურო აცხადებს რომ შაბათს 29 ივლისს დღისით 12 საათზე დანიშნულია აღმასკომის შენობაში

საჯარო ვაჭრობა ვერის ბორანის

პირობის გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში ოთახი № 50 საჯარო მაგიდის გამგესთან მ. დარახველიძესთან.

(3—2)

განცხადება

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოს საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისა

ა | წ. ივლისის 20-დან შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველის დ ვით **ჩიქოვანის** თავმჯდომარეობით იწყება თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების რევიზია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად კანონიერად იქნა აკრეფილი სხვადასხვა გადასახადები ქალაქ თბილისში, კომისიაში წევრებად შედიან: მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელნი.

ყველა მოქალაქეთ ევალებათ სხვა და სხვა გადახდილ გადასახადის ყველგვარი კვიტანციები და კერძო ბარათები წარმოადგინონ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში შესამოწმებლად. იმათ, ვინც ზემოაღნიშნულ კვიტანციებსა და კერძო ბარათებს არ წარმოადგენს, გადახდილი გადასახადი ჩაეთვლებათ გაბათილებულად და ხელმეორედ გადახდებათ. განცხადებები და ნახსენები კვიტანციები უნდა ჩაბარდეს კომისიისათვის გადასაცემად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილების **მდივანს** (ოთახი № 21).

თბილისის საუბნო მილიციის სამმართველოების საუწყებათაშორისო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **დ. ჩიქოვანი.**

(3—3)

მმართველობა ქართ. აქციონერთა საზოგადოების „ოქროს ვერძი“

ამით აუწყებს აქციონერებს, რომ ის თანახმად ფინანსთა სახალხო კომისარიატის ნებართვისა შეუდგა საზოგადოების საქმეთა გამორკვევას და მის მოწესრიგებას, რის შემდეგ მოწვეული იქნება **საერთო კრება** საზოგადოების განახლებით მოქმედების საკითხის გადასაწყვეტად.

ა. წ. ივლისის 30-ვის დანიშნული **საერთო კრება**, ფინსახკომის იმავე მომართვის ძალით გადადებულია.

საერთო კრების მოწვევის დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

მმართველობა.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი კანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თვის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

გაფრთხილება: ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე აგვისტოს ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—6)

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება

აცხადებს ყველა სახლის პატრონთა საყურადღებოთ, რომ გაყიდვა და მიღება საანკეტო ფურცლებისა სახლების რეგისტრაციისათვის გრძელდება 1 **აგვისტომდე.**

საანკეტო ფურცლის ფასი 100.000 მან.

1 აგვისტოდან საანკეტო ფურცლის ფასი გადიდებული იქნება 10 ჯერ.

(10—9)

ელექტროენის, რენტგენის და სინათლის სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიზნით გიდევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

(25—21)

განცხადება

დამატებითი სააგარაკო მატარებლები

22 ივლისიდან თბილისის, ბორჯომის და ბაკურიანის შორის დანიშნულია სწრაფი სააგარაკო მატარებლები № 18 და 17, კვირაში ერთხელ.

თბილისიდან გადის შაბათობით დღის 11 საათ. 45 წუთზე, გორიდან—2 საათ. 20 წუთზე, მცხეთიდან—3 საათზე და 55 წუთზე, ბორჯომში მიდის 5 საათ. 30 წუთზე ღამს.

ბორჯომიდან ბაკურიანში გადის წვრილი ლიანდაგიანი გზით 5 საათზე და 50 წუთზე, ბაკურიანში მიდის საღამოს 9 საათზე და 18 წუთ. შაბათობით.

უკან გარუნდება

ბაკურიანიდან—კვირაობით საღამოს 4 საათზე და 40 წუთზე ბორჯომში მიდის 7 საათზე და 45 წუთ. ბორჯომის პარკში—საღამოს 8 საათზე.

ბორჯომიდან თბილისში გამოდის საღამოს 9 საათზე და 50 წუთზე, მცხეთიდან—ღამის 12 საათზე და 35 წუთზე, გორიდან—2 საათზე და 41 წუთ. თბილისში მოდის დილის 6 საათზე და 02 წუთზე.

ეს მატარებლები პატარა პლატფორმებზე არ შეჩერდება. (2—2)

ძ. ტფილისის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ ივანე სიმონის ძე ყოჩიშვილის დარჩენილ ქონებაზე, რათა განაცხადონ თავიანთი უფლება ორი თვის ვადაში.

(1—1) **სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.**

დავკარგე

დროებითი აღრიცხვის მოწმობა № 1083-ით, გამოცემული ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ მისახელ მეთოდეს ძე უკლებას სახელზე, რაც გაუქმებულათ ჩაითვალოს დღიდან გამოცხადებისა.

(1—1)

დავკარგე: ბესარიონ მანუჩარის ძე ბარძიმიშვილის სახელზე პასპორტი № 153. 22 მარტს ამა წლის ექვსი თვის ვადით, მიცემული ფოცხოს თემის აღმასკომის მიერ. დაკარგულია სოფ. მახაშში. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (1—1)

ტირაჟი 10,000. ს. დ. ს. ც. საქართველოს ფშაღლის სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუშენშტეინის ქ. № 4